


საქართველოს
ბავშვთა ჟურნალი

საქართველო



გ. ბერიძე

ქართული
საბჭოთაო



საქართველო ნახატებიანი
ქურნალი

იხარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

ოქტომბერი 1910

◀ წელიწადი მეოცდაერთე ▶

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ანბ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1910



ინდოელი საომარეხე თამაშების
გვერდის.

მერცხალს.



ად მიჭფურენ, ნაზო მერცხალსო,
 ღამაზო, შავო ფრთიანო;
 რად სტოვებ ტურფა მხარესა
 ქუქუნა — თვალეზიანო!

იქნებ სამთარმა მოგძახა:
 „შენი აქ ეოუნა კძარო,
 ინდოეთისკენ გასწიე,
 გადაიბარგე ჩქარაო“?!

ნუ თუ ვერ ვისმენთ შენს ჭიკჭიკს
 და შენს სიმღერებს ტებილსაო;
 ვერ გავიგონებთ ნაზ სმებში
 ჩაქსოვილს მოძახილსაო!

რომ გაზაფხულდეს, კეთილო,
 კვლავ გადმოფრინდი ჩვენსკენო,
 ნუღარ აფოვნებ მოსკლასა,
 სიძარდეს გამოიჩენო!

და რომ ისილო ბაღებში
 ვარდები გაუურჩქენილიო,
 კვლავ დანჭიკჭიკე მათ შენი
 სიმღერა ნაზა, ტებილიო!“

ასეთ სიტუაციებში მიძარბა
ქოჩომ საუფარველ შერცხალსა:
დიდხანს უმსერდა, კოცნასაც
თან უკზავნიდა ძრავაღსა!

ლადო გიგეშკორი.



ჯარის ბებერი ცხენი.

(ერაგსკიდან).



რომ მოხუცებულ ქალს ძალიან უუვარდა ეტლით სეირნობა. შეაბმევენებდა თავის ერთ კაი ძაღვს და მარჯვით ცხენს და თითონვე მარჯვით ატარებდა ეტლს. ერთხელ ქალმა ახალი ცხენი იყიდა. მკნედულობით ცხენი ძალიან ძმვიდი იყო. თურმე აღრე ეს ეკუთვნოდა ერთ ცხენოსან ჯარს,

მათი გაწურთვნილი იყო და აქამოდღე არ ჰქონდა დავიწეებელი უოველ კვარნი ჯარის წესები.


მოხუცებულმა ქალმა, რასაკვირველია, არა იცოდა-რა და წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა ერთხელ შემდეგი ამბავი დაემართა:

ქალი გავიდა ეტლით ქალაქ გარეთ სასეირნოთ. შორიდან გამოჩნდა ცხენოსანთა ჯარი, რომელიც ბრუნდებოდა მინდორში ვარჯიშობის შემდეგ და ამ ქალის ეტლს გაუარა გვერდით. ცხენმა გაიგო თუ არა ნაცნობი ხლიქების ხმა, თუმცა ეტლში ება—გაეჩანა თავისიანებთან და გვერდით ამოუდგა ჯარის ცხენებს. ჯარის უფროსი მოჰყვა ჯავრობას, უუვიროდა მოხუ-



ცებულს, რომ გვერდზე წაეყენებინა ეტლი. სანამ მოხუცებული თითონაც მოხარული იქნებოდა, რომ ცხენი შედგარიყო; რაც ძალა ჰქონდა სადავეს უჭერდა, მაგრამ ვერას გახდა; ჩვეულებამ თავისი გაიტანა: ცხენი მიაქანებდა მოხუცებულსაც და ეტლსაც, ის ჯარის თავში მოექცა და არ შედგა, სანამ ჯარი თავის ბინაზე არ მივიდა.

(თარგმანი).



არაბი და გველი



რთი ცხენოსანი არაბი გზათ მიდიო-
 და ქვიშიან მინდორზე. სელში ეჭი-
 რა გრძელი შუბი. გზის ჰირას მან
 დაინახა დიდი ცეცხლის ზვინი; ცე-
 ცხლი კიდევ ქრებოდა. ნაკვერჩხლებ-
 შე იკლაკნებოდა და სისინებდა გვე-
 ლი. გველმა დაინახა არაბი და

დაუწყო ხვეწნა:

— ღუთის შვილო! მიშველე, გადაძარჩინე სი-
 კვდილს.

არაბმა თავისი გრძელი შუბი ჩაუშვა ცეცხლში.
 გველი აცოცდა შუბზე, იქიდან გადავიდა არაბის ხელზე,
 მოეხვია მას ეელზე და დაუწყო დაღრჩობა.

— რას შურები? ძლივ-ძლივობით ამოიღო სმა
 არაბმა.

— განა ვერა გრძნობ რასაცა ვშურები? უთხრა
 გველმა, — მინდა დაგაღრჩო.

— რას შემართლები! ღმერთო ჩემო? მე შენ ხომ
 საშინელ სიკვდილს გადაგარჩინე!

— ძართალია. ძაგრამ ამ ჩვენ დალოცვილ დედა-



მიწასუ სიკეთისთვის ვის უქნია სიკეთე. მეც ასევე
სავით ვიქცევი.

— არა, გველო, ვეველ აგრეთი არ არის. სო-
ლო შენა ხარ უსამართლო, მოუგო სიტყვა არაბმა.

— მარტო ძე კი არა, ვეველ ჩემისთანები არიან,
დაისისინა გველმა და უფრო დაუწეო კაცს ველში
წაჭერა.

— გამიშვი, ნუ ძაღწობ, დაუწეო სვეწნა არაბ-
მა — იცი რა გითხრა?

გველმა ცოტა ამოასუნთქვინა კაცს.

— მოდი სამ ვისმეს ვკითხოთ, შენ მართალი ხარ
თუ არა. თუ ვეველამ აგრე თქვა, მაშინ შენ ხელთა
ვარ, რაც გინდა ის მიუავა, უთხრა არაბმა.

— კარგი, ვნახოთ. დაისისინა გველმა.

გაუდგენ ისევ გზას. გველი ისე უჭერდა არაბს
ველში, რომ ის ძლივსღა სუნთქავდა. მივიდენ ერთ
წყაროსთან და შედგენ.

— დაგვიგდე უფრო, წყარო! სთქვა არაბმა — მე
გადავარჩინე ეს გველი ცეცხლში დაწვას და ძაღლო-
ბის მაგივრათ მიპირებს დასწრობას. ამბობს, რომ
დედამიწასუ სიკეთისთვის არასოდეს არავის სიკეთე
არ უქნია.

— მართალია. უნახუნა წყარომ, — აი, რა გი-
თხრა: ჩემი წყალი სომ სუფთა, ანკარაა. მომადგება
სოღმე სალსი ცხენებით, აქლეძებით, ვეველას ვასმეკ
სუფთა და ანკარა წყალს. უჩემოთ ისინი ამისთანა

გაკვირებულ ადგილს დაისოცებოდენ წუურვილით. მერე იცით ისინი რას ჩადიან? წასვლის დროს ჭუჭყით, ნაკვით და ჰატევით მიძურტლავენ წვალს.

გველმა გაიგო თუ არა ესა—არაბს უფრო წაუჭირა ეელში. განაგრძეს გზა. მიადგენ ერთ ძაღალ ხეს—ჰაღძას. შედგენ. არაბმა უაძბო როგორ იყო სჯექე. ჰაღძამ ამაზე უჰასუხა:

— მართალს აძბობს გველი. სედავთ ამ უდაბნოში ჩემის მეტი ხე არ არი და მგზავრს ჩემის მეტი ვერაგინ შეაფარებინებს თავს. ისინი კი რას ჩადიან, რომ იცოდეთ! ჩემ ჩრდილ ქვეშ გუნებივრათ დაისვენებენ, ჩემ ნაუოფს გემრიელათ მიირთმევენ, მერე დაუწეებენ ფოთლებს გლეჯას, ტოტებს მტვრეჯას, ქერქს მაცლიან და მითი ცეცხლს აჩაღებენ. ღამის მეც მომჭრან ისე, როგორც სხვა ჩემისთანა ხეები. აი, სიკეთეს ასე იხდიან ადამიანები!

გველმა არაბს უფრო თაძმათ წაუჭირა ეელში ისე, რომ იძას ღაჰარაკი ვეღარ შეეძლო—იღრხობოდა; იმ დროს შორიდან არაბმა თვალი მოჰკრა, რომ ტურა მორბოდა. მიუთითა მასზე გველს. გველმა ცოტათი თავი დაახება მის კისერს. არაბმა დაუვირა ტურას:

— შედეგი ცოტა ხანს, სათქმელი მაქვს რამე!

— კარგი, თქვი მანდედან, რაცა გაქვს სათქმელი, მეშინიან შენი, ახლოს ნუ მომეკარები.

არაბმა შეაყენა ცხენი და უაძბო რაზედაც მას და გველს დავა ჰქონდათ.



— მამ შენ გველი დაწვას გადაარჩინე? დაუქითსა
ტურა. — როგორღაც ძნელი დასაჯერებელია.

არაბმა დაუწუო ახსნა, როგორც იყო საქმე.

— არა! არა, უთხრა ტურამ. — ნუ კი მიაძობ, მახვენე როგორ მოხდა, უფრო კარგა გავიკებ.

არაბმა დაუშვა ძირს შუბი, გველი ჩამოვიდა ქვიშაზე.

— რას მეტუვი ახლა, ჰკითხა არაბმა.

— მტერი შენ ფეხთ არის... უთხრა არაბს ტურამ, — რა საკითხავია, აიღე და მოჭკალი.

— არა, აგრე თქვენ მხეცებმა იცით. ჩვენ, ადამიანებს სხვა კანონი გვაქვს.

მერე მიუბრუნდა გველს და უთხრა: — მშვიდობით გველო, მიჩუქებია შენთვის სიცოცხლე, მაგრამ განსოვდეს რომ ღმერთს სამართალი აქვს. ჩვენ, ადამიანები, მოწყალე და შემბრალებელნი ვართ.

და არაბმა ერთ წამში გაჭკურცხლა.

გახსნი.

(თარგმანი).



ერთი ახალგაზრდა ლომის ამბავი.

(ზღაპარი).



ყოველი და არა იყო რა, იყო ერთი წვეილი დედალ-ძამალი თუთიუში. ისინი ცხოვრობდნენ ერთ დიდ მდინარის ნაპირას, საცა ხშირი ტყე მხეცებით იყო სავსე. თუთიუშები ღამ-ღამეობით ადიოდნენ ხეებზე, რადგან ეშინოდათ მხეცებისა და დღე ტყეში დაეძებდნენ სახრდოს. მხეცების სიახლოვე მათ მოსვენებას არ აძლევდა, ბოლოს გადასწვიტეს სადმე შორს წასულიყვნენ. არჩიეს ადგილი, არჩიეს და დაბინავდნენ ერთ ხეებით შემოსილ კუნძულზე.

ახალ ბინაზე თუთიუშებს ბლომით ჭქონდათ ხეხილი და ანკარა წუაროს წყალი. ესენი ცხოვრობდნენ ბედნიერათ და მუუდროთ, სანამ ერთხელ ისვი არ მოფრინდა მათთან. ისვი მეტათ აღმოფოთებული და აღელვებული მივარდა სწორედ იმ ხეს, სადაც მოკალათებული იყო დედალ-ძამალი თუთიუში და ისემა მხოლოთ აქ ამოისუნთქა. თუთიუშები დარწმუნებულნი იყვნენ რომ ისვს რაღაც საძაგელი საქმე დაეძარბათ, რადგან ის მეტათ შემინებული ნახეს.



— აღარ ვიცი ჩეს თავს რა ამბავია! თქვენ იხე-
ძა.—მეშინიან „ადამიანის შვილისა“. გაუფრთხილდით
ადამიანის შვილებს, თორემ თქვენც ხეიროს არ დაგა-
ურიანს.

— რას შიშობ? უთხრა თუთიუშმა, —ასლა სომ
ჩვენთანა ხარ, რისა გეშინიან!

— ძადლობა ღმერთს რომ მოვადწიე თქვენამდის,
უთხრა იხვმა, —ასლა აღარ მეშინიან, რადგან თქვენ-
თან შეგობრობა მინდა.

დედა თუთიუშმა გაიგო თუ არა ეს, ჩამოფრინ-
და სიდან და უთხრა.

— მობრძანდი! მობრძანდი! ძალიან მოხარულნი
ვართ. რისა გეშინიან. ჩვენ სომ ამ კუნძულზე გვაქვს
ბინა და ვერც ერთი „ადამიანის შვილი“ ჩვენ ვერ
მოგკეკარება, ვერც სმელეთით და ვერც ზღვით. და-
მშვიდდი და გვიამბე ეველაფერი.

— მეც ერი კუნძულზე ვცხოვრობდი მშვიდათ და
მოსვენებით, სანამ ერთხელ საძაგელი სიხმარი არა
უნახე. ვითომ ვიდაც ზრმენი მეუბნებოდა: „უფრთხილ-
დი, იხვო, „ადამიანის შვილს“. ნუ დაუჯერებ მის სი-
ტყუებს და ალერსს. იგი გაიმყვრა და ჭკვიანია. გე-
შინოდეს მისი ტებილი სიტყვებისა. „ადამიანის შვილი“
თევსხაც კი ატყუებს, ჩანგლით ამოათრევს წული-
დან. გაიმყვრობით სწილოს იგდებს ხელთ. არავინ—
არც ფრინველი და არც მხეცი მას არ გადაურჩება. მე
სულ ვცახცახებდი როდესაც გამოძევობა და აქამდინ



ჩემი გული არ დაწუნარებულა. დაღაძებამდის უფრო
ნოთ ვიუხვი, ბოლოს მოძინდა ჭამა-სმა. გავწიე—
არ ვიცი კი საით მივდიოდი; უცბათ მივაღექ ერთ
მთას, იქ გამოქვამბოლის შესასვლელში დავინახე ახალ-
გაზრდა უვითელი ლომი. მას გაეხარდა ჩემი ნახვა,
რადგან როგორც თქვენც შედავთ, ლამაზი შესედუ-
ლობისა ვარ.

— მოძინალოვდი, მითხრა მან.— რა გქვიან, რა
ჯიშისა ხარ?

— მე ისევე მქვიან, ვუზახუსე, ყრინველთა ჯიში-
სა ვარ. შენ რაღა გინდა აქეთ მხარეში?

„ლომმა მიაშბო თითქმის ისევე, რაც მე ახლა
გიაშბეთ. ველარ მოვითმინე და ვუთხარი:

— მე შეგონა რომ დამიფარავ მაგ „დაძინანის შვი-
ლისაგან“ და თურმე შენც, მხეცთა მეფის შვილს
გეშინია. რაღა ვქნა?

„შერე მოვუყევი თხოვნას, რომ თვითონ ლომი
გაღაძქრებულყო „დაძინანის შვილის“ წინააღმდეგ და
მოეკლა. გულმა ვერ გაუძლო, რომ უარი ეთქვა, წა-
მოკარდა ზეზე, ძმლავრათ კუდი გაიქნია და გაუდგა
გზას. მეც უკან გავევი.

„მივდიოდით გზათ, უცბათ ადგა მტვერი. დავი-
ნახეთ, რომ თავის ტყნით მორბის ვირი. ის ხან კუნ-
ტრუშობდა, ხან მიწაზე დაეცემოდა ხოლმე.

— აი მე სულელი მხეცო! დაუვირა ლომმა,—
რა ჯიშისა ხარ, საიდან მორბისარ?



— მე ვირი გახლავარ, მეუის შვილო! გავრბი-
 ვარ რომ თავს უშველო, გადურჩე „ადამიანის შვილს“.

— განა შენც გეშინიან, რომ „ადამიანის შვილი“
 მოგკლავს? ჭკითხა ლომმა.

— მოკვლისა კი არ მეშინიან, მეუის შვილო, ის
 ის მე დამიჭერს და მატარებლათ გაძიხდის. ძას აქვს
 უნაგირი... დამადგამს ზედ, მოუჭერს მოსართავებს,
 ზირში აღვირს გაძიურის და მოძიუკება ჯოხით ცემს,
 რომ ძარბენინოს. დმერთმა დამიუაროს რომ წავი-
 ბორძიკო! მოძიუკება ლანძღვას და როდესაც დაუბერ-
 დები დამადგამს კეხს, მაზიდვინებს წუალს და სი-
 კვდილადმის მიძაწევილებს... როდესაც მოვკვდები ჩემ
 ლემს ძაღლებს მიუგდებს.

— ახლა საით მივბრუნდები? ჭკითხა ლომმა.

— მზის ჩასვლისას თვალი მოკვარ „ადამიანის
 შვილს“ და ახლა გავრბივარ, რომ არ დამეწიოს.

„ის იყო ვირი უნდა გამოგვხალმებოდა რომ გზა-
 ზე ადგა ხელ ახლად დიდი ძტყერი და როცა დაუცქერდით
 თვალწინ წარმოგვიდგა მშვენიერი შავი ცხენი, რო-
 ძელსაც შუბლზე თეთრი ნიშანი ჭქონდა. მერანი შედგა,
 მიუახლოვდა ლომს. ახალგაზრდა ლომი აღტაცებულ
 მოვიდა მისი სანახაობით.

— ერთი მითხარ, რა ჯიშისა ხარ, ან ამ უდაბ-
 ნოში რა გინდა? ჭკითხა ლომმა.

— მხეცების მეუვე! მე ცხენების ჯიშისა ვარ
 და გაურბი „ადამიანის შვილს“.

ახალგაზრდა ლომს გაუკვირდა და უპასუხა: — სირცხვილია შენთვის, ნუ ამბობ ძაგას. მაგოდენა ხარ და აგრე სწრაფლათ გარბინარ. როგორ უნდა გეშინოდეს „ადაშიანის შვილისა?“ ერთი წიხლის დარტყმით შეკვიპდებიან მისი მოკვლა და შენ კი შიშით ცახცახებ.


ცხენმა მოისმინა ნათქვამი და დაისვიხვინა:

— არა, მეფის შვილო, მე იმას ვერ მოვერევი! ვერც ჩემი რანადობა, ვერც ჩემი ღონე ვერაფერს გახდება „ადაშიანის შვილის“ ჭკუასთან და ცბიერებასთან. ის სის ჩინჩლიდან თოკებს გრესავს და მითი ფეხებს გვიბლანდავს, ჰირში აღვირს კვიდებს, ბოძზე კვამბს. ჩვენ უნდა მთელი დღე-ღამეობით ვიდგეთ ასე და ვერ დაუწევებთ. როცა კაცი მოინდობებს უნაგირს დაგვადგამს, აღვირს წაგვიჭერს, დუხებს შემოგაკრავს ისე მძლავრათ, რომ ფერდებიდან სისხლი გადმოგვდის. ნულარა მკითხივ, მეფის შვილო, ჩვენ უბედურებას! როდესაც დავბერდებით და ღონე გამოგველევა, აღარ შეკვიპლია ძარდათ სირობილი — მიგვიდიან ხოლმე წინქვილში და იქ დღე და ღამე გვაძუშავენ, სანამ ღონე სულ არ გამოგველევა; მერე გაგვამრობენ ტყავს და საკლავათ გაგვიდიან.

ამ ამბის გაგონებაზე ლომი კვლავინდელზე უფრო აღშოთდა და წამოიძახა:

— როდის შეგსუდა შენ „ადაშიანის შვილი“?

— შუა დღისას დამხვდა, აი, სწორეთ ამ გზაზე.



ამ ლაპარაკის დროს უცბათ გხსნე სეფის კარს და ადგა მტვერი და გამოჩნდა ვეება აქლემი. ახალგაზრდა ლომმა რომ დაინახა ამოდენა უშველებელი ცხოველი ეგონა ეს არის „ადამიანის შვილიო“ და დააპირა მიუარდნოდა, მაგრამ მე შევაყენე.

— მოითმინე, ძეჟის შვილო, ეს „ადამიანის შვილი“ არ არი—აქლემია, მკონია ესეც გაურბის, ადამიანის შვილს“.

აქლემი მოგვიახლოვდა და მძიმეთ თავი დაგვიკრა. ლომმა ჰკითხა:

— მითხარი ერთი, რამ გაიმუღა აქ მოსვლა?

— მე „ადამიანის შვილს“ გაგურბივარო, უნასუნს აქლემმა.

— მაგოდენა ტანისა ხარ, მაგოდენა ძალა გაქვს და გეშინიან „ადამიანის შვილისა? ჰკითხა ლომმა.— ერთი ფეხი რომ ჰკრა—მას სულს გააურევიებ.

— რომ იცოდე, ძეჟის შვილო, მაგათ ვერაფრით ვერ მოვერევი, უნასუნს აქლემმა.— სიკვდილით თუ დავისსნით მაგათგან თავს. მაგათ შეუძლიანთ ცხვირში თოკი გაგვიყარონ და ებაში აღვირი ამოგვიდონ, — მაშინ ჰატარა ბავშვსაც კი შეუძლიან სადაც უნდა იქ გვატაროს. რაში გამომაღვება ჩემი ძალა? „ადამიანის შვილს“ შეუძლიან დღე და ღამე გვაბუშავოს და მერე მუნღატევათ ქცეული გაგვიდოს.

— რი დის შეგხვდა „ადამიანის შვილი“? ჰკითხა ლომმა.

— მხის ჩასვლის დროს ვნახე და უსათუოდ მომ-
დევს დასაჭერათ, ნულარ ქაუჩებს, მეფის შვილო, უნ-
და გავეიქვე უდაბნოში.

-- მოითმინე ცოტა ხანს, დარჩი, ნახე ერთი რო-
გორ გაველევს მას, როგორ ლუკმა-ლუკმათ ვაქცევ და
მისი სორცით გაგაძღობ.

— მეძინიან რომ აგრე არ იქნება, მეფის შვილო,
ის ისეთი ვერაგი და გამჭრიახია, რომ არ ვირჩევ
მასთან საქმის დაჭერას.

„ამ ლაპარაკის დროს ადგა ხელ ახლათ მტვერი
და ჩვენ დავინახეთ ერთი ზატარა მოსუცებული კაცი.
მას ხელში ეჭირა თოფრაკი, დურგლის იარაღით და
მხარსე გადებული ჭქონდა რვა ფიცარი. ნელის ნა-
ბიჯით მობაჯბაჯებდა და თან მოჭეუანდა ხელ დაჭე-
რილი ორი ბავში მოსუცებული გაქმართა პირდაპირ
ლომთან. მე რომ დავინახე—შიშით კინაღამ სული
გამძვრა. ლომიც გაბედულათ მიუახლოვდა. დურგალმა
გაიღიმა და ტკბილის ხმით უთხრა:

— ოო, მშვენიერო, დიდ სულოვანო ლომო! ალ-
ლახი იეოს შენი მფარველი, მოგენიჭოს შენ ბედნიე-
რება, სისარული და დიდება! დამიფარე ბოროტი
მდეუნელისაგან. მხოლოთ შენ შეგიძლიან ჩემი და-
ფარვა!

დურგალი იდგა ლომის წინ—ოხრაჟდა, ტიროდა
და კვნესოდა. ამასე ახალგაზრდა ლომმა უთხრა:

— მე შეგიძლიან დაგიფარო, მითხარი ეინ გდევ-

ნის ან რობელი მსეცი სარ. მე შენ არაოდეს არ მი-
 ნახევხარ! მერე შენისთანა შნოიანს, ლაძახს და ჰირ-
 წუღიანს აქამდის არ შევხვედრებარ. მითხარი რა ჯინ-
 მისა ხარ, ან ვინ გდევნის?

— მე, მეფის შვილო, ვარ დურგალთაგანი და
 მდევნის „აღამიანის შვილი“, ის სვალ აქ გახნდება.

ამ სიტყვებმა ააღელვა ლომი ისე, რომ დორბ-
 ლები გადმოუვიდა ჰირიდან და ნახურწკლები თვალე-
 ბიდან და შეჭკვირა:

— ვუცნავ ალღასს, რომ მე დღეს თვალს არ
 მოვსუწავ და არც ჩემ ბუნაგში მივალ, უნდა უდარა-
 ჯო მაგ შენ მტერს. მითხარ ახლა სად მიდისარ?

— მე მივდივარ მამიშენის ვეზირთან ფოც-
 სვერთან. მას შეუტყუა რომ „აღამიანის შვილი“ აქეთ
 მხარეს მოდის და ძალიან შეშინებია. ახლა მიბარებს:
 დაუდგა ისეთი სახლი, რომ შიგ მოთავსდეს და
 ამითი გადურჩეს „აღამიანის შვილის“ რისხვას. ფიც-
 რები მიმაქვს და დღესვე უნდა დაუდგა სახლი.

ახალგაზრდა ლომს შეშურდა და თქვა:

— სიცოცხლეს გეფიცები რომ სანამ მე არ გა-
 გაკეთებინებ ჩემთვის სახლს მაგ ფიცრებით, არ მოგ-
 ცემ საშუალებას რომ ფოცსვერს აუშენო რამე!

— მსეტა მეფე! დაიძახა დურგალმა, — ვერაფერს
 ვერ ავიძინებ შენ, სანამ ფოცსვერისაგან შეკვეთილ
 საქმეს არ ავანრულებ, მერე მოვალ და ავიძინებ ისეთ
 სახლს, რომ მტერს თვალი დაუეწიო.

— ტუილია, მე ვერსად ვერ გაგიშვებ, სანამ ა
ფიცრებისაგან სახლს არ დამიდგამ.

ლომი ხუმრობით შეასტა დურგალს და იარაღი
გადმოუქარა. დურგალმა შიშით გრძნობა დაჰკარგა,
ლომი კი მოჰყვა სიცილს და უთხრა:

— რა სუსტი და უფრო ეოფილხარ, რასაკვირ-
ველია შეგეშინდება „ადამიანის შვილისა“.

დურგალი გულადმა გადაბრუნდა, ძალიან ჯავრი
მოუვიდა, მაგრამ ვერა გაბედა რა, წამოდგა და ღი-
მილით უთხრა:



— კარგი, კარგი, ავიძენებ სახლს.

აიღო ფიცრები, ლომის ზომის უთი დადგა და სასურავას ადგილი დატოვა, სასურავს ნახვრეტები გაუკეთა, ამოაწინა ახალი ლურსმნები და უთხრა ლომს:

— აბა, ჩადი შიგ.

„ახალგაზრდა ლომი ძალიან კმაყოფილი დარჩა, მხოლოდ ჩასასვლელი შიგ ცოტა ვიწროთ ეჩვენა.

— ჩადი შიგ, არა უძავეს რა, თათები ცოტა შეიპქნე.

ლომმა ახსრულა დურგლის სურვილი, ჩავიდა, ხოლო კუდი გარეთ დაურჩა. უნდოდა ამისვლა, მაგრამ დურგალმა უთხრა:

— დამაცა, კუდს მე მოვითავსებ შიგ.

ლომი დამშვიდდა. დურგალმა ჩაუღო შიგ კუდი, დასურა თავი და საჩქაროთ მოჰქევა დალურსმნას.

— დურგალო, ამისთანა ვიწრო სახლი რაზედ გამიკეთე? გამომიშვი აქედან! შეჰევირა ლომმა.

— ნურას უკაცრავათ! შენ მანდედან ვეღარსად წახვალ. უთხრა სიცილით დურგალმა, — შენი სისულელით ჩაგიგდე ხელში.

— მძობილო, აგრე რათ მეღაპარაკები?

— იცოდე, სულელო, — უზახუნა დურგალმა, — ვინიც გეშინოდან — სწორეთ იმის ხელში ჩაგარდი. აღარა გიშეველის რა!

ახლა კი მიხვდა ლომი, რომ ეს სწორეთ ის საშიში „ადამიანის შვილი“ იყო, რომელსაც უველბა გა-

ურბოდა. მე შექმენდა და ერთ წამში გავფრინდი. თან და თან შიშმა შემიპურო, მეკონა—ეს არი მომდევნის დაწვევლილი „აღამიანის შვილიო“.

თუთიუშები გაცვებით ეურს უკლებდენ. შერე უთსრეს იხვს:

— ახლა კი ნულარაფრისა გეშინიან. ჩვენ ისეთ კუნძულზე ვცხოვრობთ, რომ „აღამიანის შვილი“ ვერ მოგვაგნებს აირჩიე ბინა და იცხოვრე ჩვენთან.

კარგა ხანს ცხოვრობდენ ესენი მშვიდად და მუდროთ. ერთ დღეს მოადგა ამ კუნძულს დიდი კემი. გადმოვიდა იქიდან ხალხი და მოედო მთელ კუნძულს. თუთიუშები ძაღლა აფრინდენ, იხვი კი ისე დაიბნა რომ ერთ ადგილას გაშემდა. „აღამიანის შვილმა“ დაიჭირა ის და კემზე წაიუგანა.

ტახოსი.

(თარგმანი)



საუცხოვო კუთსე.

(ამბავი)




ვეიცარია ერთი საუკეთესო კუთ-
სეა მთელ ევროპაში. ეს ქვეყანა
მთიანია. შვეიცარიის მთები —
აღმაღები ეუელსე ძალადი მთე-
ბია ევროპაში. ამ მთების ძირ-
ში, მშენიერ ვაკეებში, ლამაზ
მდინარეების ნაპირებზე გადაჭი-
მულია ბაღები, ვანები. მთის
ფერდობზე ნახავთ სსვა და სსვა
მცენარეებს — დაბლა ვენახებია,
ძალდა ტყეები. აქ ხეები ჯერ ფო-
თლით შემოსილია, მერმე კა-

მოხნდება ეკალნარი. სულ ძალდა, მთის წვერზე სეე-
ბი აღარ იცის, აქა.იქ მსოლოთ ბუჩქებია, მთის
მწვერვალზე კი მარტო ქვებია, ოდნავ შემოსილი სავსით;
ამ ადგილებში ძლიერ ცივა, მუდმივი თოვლი და ეინვა
იცის. ცხელ ზაფხულშიაც კი არა დნება ეს თოვლი,
ხოლო მისი შედა ჰირი ცოტათი ჩამოდნება, მთის
ფერდობზე ჩამოეშვება ეინულის მდინარებივით. ეს

მდინარეები ნელ-ნელა, სულ ნელა მიცოცავენ დაბლა, ვაკესაკენ. ერთი წლის განმავლობაში მარტო რამოდენიმე საქენით ჩამოცოცდება დაბლა, თვალთ ვერც კი შეამჩნევთ; მარტო იმითი მიხვდებით, რომ ეინულის ძდინარე დაბლა დაეძვა, როდესაც დაინახავთ ქვეს ზევით რომ იყო—ცოტა ქვევით ჩამოსულს. უოველ წლივ ათასობით მოდის ხალხი სხვა და სხვა ქვეუბებიდან ამ საუცხოვო კუთხის სანახავად; ბევრი დიდი სიამოვნებით ადიან ამ ეინულიან მთებზედ. მართალია, თუცა ასეთი მოგზაურობა ძნელი და სახიფათოა, სამაგიეროდ რას არ ნახავს მგზავრი მთის მწვერუდიდან!

ასვლა მთაზედ მეტათ ძნელია. ესაა, გზები უფრო გაკვალულია, გაკეთებულია. სადაც კი შესაძლოა აშენებულია თავმესაფარები, წარმოიდგინეთ ეინულიძაც კია გაკეთებული ასეთი თავმესაფარები. იქ ადამიანი დაისვენებს და მოიცდის სანამ გადიდარებს. მაგრამ ამისდა მიუხედავთ მგზავრი ვერა ბედავს მარტო ასვლას მთაზე. მან უნდა წაიყვანოს გზის მჩვენებელი. წელიწადი არ გაივლის ისე, რომ რომელიმე მოგზავრი არ დაიღუპოს ასეთ მოგზაურობის დროს. უწინდელ დროში კი იღუპებოდენ უფრო ბევრი და მოგზაურობაც უფრო ძნელი იყო. ძლიერ სახიფათოა საეინულეებზე სიარული. მოცოცავს ეინული მთის ფერდობზე, ამ დროს უცბათ სკდება. დამდნარი ეინული, ჩადის ამ ნაპრაღის

განეთქილებში და ჰატარა ნაკადულებათ ჩსრებალეს
 ენულის ქვეშ. ენული სქდება სხვა და სხვა
 ლას. დღეს რომ არაფერი საშიში იეოს, არაფერი
 ანდეს ენულს, სვალ კი შეიძლება უფსკრული საში-
 ში განდეს. საუბედუროთ სოლძე ამ განეთქილ ადგი-





ლებს თოვლი გადაეფარება, მკსავრი ვერაფერს ეგონება და ჩაუარდება — მაშინ მშვიდობით ცრლო და შვილო. ასეთ უბედურების ასაცდენათ მკსავრები და გზის მჩვენებლები ერთმანეთსედ თოვით გადაემაინ. თუ წინ მიძავალი ჩაუარდება, უკან მუოფნი შეჩერდება და ამოწვევენ ამხანაგს. გზის მჩვენებლები — გამოცდილი ხალხია. კარგათ იციან გზა, ატობენ თუ სადმე საშიში რამ მოელისთ, ამასთანავე დონიერი და ძაძაცი ვაჟკაცები არიან. შვეიცარიელები — სათვის ძლიერ ხელთ-საურელია მკსავრების გაოლა, რადგანაც ამათგან კარგად დაჯილდოებული იქნებიან. გზის მჩვენებელიც ცდილობს კარგად მოუაროს მკსავრს, ცუდი არასფერი არ შეამთხვიოს გზაში, თორემ სახელი წაუხდება და აღარავინ არ ენდობა წასაყოლად.

დიდი ხანია, რაც ერთმა მდიდარმა ინგლისელმა, ჯეკსონმა მოინდომა შრეკ გორაზე ასვლა. ეს მთაა შვეიცარიის ალპებში. თვით სახელი „სამინელი მთა“ აჩვენებს თუ რა მოელის იმას, ვინც მოინდომებს ასვლას მასზედ. საუინულებით არის ის შემორტყული, და მასზედ ასვლა ესლაც ძლიერ საშიშია. ჯეკსონი იყო ჰირველი, რომელმაც მოინდომა მის მწვერვალზე მიღწევა.

ჯეკსონმა დაიბარა გზის მჩვენებელი და უთხრა: „მინდა ვცადო და მივაღწიო იმ მწვერვალს. ენახოთ გზა, ეგებ შეუძლოთ“ იქ ასვლა დიდხანს არავის



არ უნდოდა გაეოლას; ბოლოს როგორც იუმაქრისაში დაეთანხმა — ეს ახალგაზრდა, გულადი და ღონიერი ემაწვილი იყო, სახელათ ულრის ტაგმერი. ინგლისელი დაჭმირდა ას ფრანკს (40 მან.) ეოველ შემთხვევაში, თუ გინდ მიხანს ვერც კი მიეღწია. ულრისი ღარბი იყო და ასი ფრანკი კი მისთვის მთელ სიმდიდრეს შეადგენდა, თანაც უნდოდა თავისი გულადობა გამოეჩინა.

წავიდენ. გავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე. აღარაფერი აღარ ისმოდა მკზაურებსე. შეინძრა სოფელი. გზის მახვილებლები შეიკრიბენ და გადასწევოტენ სამებნელათ წასულიყვენ. ამ დროს გამოჩნდა ულრისი — ფერმისდილი, მომაკვდავი. დიდხანს იდგა გაჩუმებული ულრისი, აქეთ-იქეთ ისუდებოდა. ბოლოს, როგორც იყო, ათქვა, რომ ჯეკსონი ჩავარდა ეინულიან უფსკრულში და დაიღუპაო. ეს ამბავი შეატუობინეს მამასანსლისს. ჩამოვიდა გამოძიებელი. ულრისი დაიბარა მამასანსლისმა. ეველანი იქ შეიკრიბენ — მითხარით, როგორ იყო საქმე, მიუბრუნდა გამოძიებელი ულრისს.

„ჩვენ გამოვედით 5 ივნისს, სამშაბათს. ღამე უნდა გაგვეტარებინა შვარცეგის კლდეზე, — ამბობდა საწუალი კაცი. — ოთხშაბათს, დილით უნდა დაგვეწყო მთაზე ასვლა. შვარცეგთან მისასვლელათ უნდა გავგეარა ერთი საუინსდე. მე ვეუბნებოდი ჯეკსონს, რომ ფრთხილათ ეოფილიყო, მაგრამ ის არასფერს მიგონებდა. „ნუ კეშინია, მითხრა მან მსიარულათ, — ნახავ რა ადვილათ მივალთ.“

— ღმერთმა ჭქნას, ვუბასუხე მე.

მივდივართ საუინულებზე. მე ვათვალიერებ კვალს. მივდივართ ნელა ნელა, მე წინა ვარ, ეოველ ნაბიჯს ვსინჯავ, გზას ვიგნებ ეინულში წერბქვით, ვანვენებ... სად უნდა დადგას ფეხი, სად იეოს ფრთხილბთ, ის კი იცინის: „კბრგი, კბრგი, გაიბრე ჩქარბ“. ბოლოს მკითხბ: მბლე მივბლბთ იმ საუინულეს? მე მომმივბბ, დაუჯდებთ ერთი, ვისბუსმობთ. მბრთლბც თითქმის სბმი-სბბათი მივბდიობდბთ ბსე.

— მბლე, სულ მბლე. სბბით მიხვბლბთ? თუ ღმერ-თი გწბბთ ჩემ კვბლს ნუ ბბობრდებობთ, მლიერ სბბი-ში ბდგილიბ, ვეხვეწებობდი მე. ის კი თბვისბს გაი-მბსობბ „ნუ გეკბინბობ“ და ვერ მოვბსწბბრი მე, რობ... ულრბსს სბბ ბუკბნკბლბბ, გბჩერბბ...

— გბნბგრბმებთ, უთსრბ გბმობმიებებლბბ.

„მობსბბ უბედურებბ“ ერუბ სბბქვბ ულრბსმბ და ჩბჭკბბბ თბვი.

„როგორ მობსბბ? ეკბბთსებობბბ გბმობმიებებლბბ, — მბბთსბბრბთ დაწვრბლბბბთ...“

ბკბნკბლბბებულბ სებლბთ ულრბსმბ ბფლბ მობ-წმბბბბბ და მუბლიბბბ.

„თობულ ქვემ ებბულბ გბსებბქბლბ ეობფილბ, ბმ-ბობბბბ ის მლივს გბსბგობნი სმბთ. ჩემ გბკვბლბულ გზბსე სბბბრულბ ბრ მობბბბობბ, ებბულბ ჩბუტებბ... ბრ ვბცი... მე გბვიგობნე მსობლობ ევირბლბ და ტლბ-მბბბ. რბ მოვბბრუნბდი — ბლბრბვიბ იეობ.“



„განა თოკით გადაბმული არ იყავით?
„არა“.

„როგორ, თქვენისთანა გამოცდილი მთიული და ასეთი დაუდევნელობა: განა შეიძლება გადაუბმელათ სიარული ასეთ გზაზე?“

— თოკი კი მქონდა, მე ვეუბნებოდი, უნდა მოკაბათქო, მაგრამ ის არა შვრებოდა.

გზის მაჩვენებლებმა, რომელნიც აქამოდე სმას არ იღებდენ, ერთმანეთს გადახედეს. თითქოს რაღაცაზე დაიწვეს ბუტბუტი. ზოგიერთნი ეჭვით უცქერდენ ულრისს.

ულრისმა ეს შეამჩნია.

— დემოტო, წამოიძახა მან, —ნუ თუ თქვენ არ იცნობთ ზოგიერთ მოგზაურს, არასდროს არ გიგონებენ, რა უნდა ვუყო? მე ვესუფუებოდი, ის კი გაიმასოდა „თავი დამანებეთო“. მე მიუახლოვდი თოკით გამოხაზულად, მან ხელი მკრა, „გასწიო!“ აბა რა შექნა, ერთი მითხარით, —რა უნდა შექნა?

ულრისი ძლიერ აღელვებული იყო. ის თითქოს მოელოდა ამხანაგებისაგან შველას; ამხანაგები კი სმას არ იღებდენ. ულრისის ნაღაპარაკი არ მოეწონათ. გამოძიებული კი ამ დროს ეკითხებოდა:

„მაშინათვე რათ არ დაბრუნდით სოფელში? სად იყავით ორი დღე!“

ულრისი გახუმებული იდგა, ამხანაგებმა ჩურჩული დაიწვეს.

„მითხარით, ნურასფერს ნუ დამიძალავთ, სასტიკათ ეუბნებოდა გამომძიებელი“

— „მე არაფერი არ დამიძალავს, სმა-მაღლა დაივირბა უღრისმა, თითქოს მოთმინებიდან გამოვიდა, — „რა უნდა გითხრათ... მივედი ნაპრაღთან, დაუწვევ, მასილი, ვერილი. მეკონა ნაპრაღის გვერდზე სადმე მოიქცა, მაგრამ არასფერი არა ჩანდა, სიბნელე იყო. შიგ, ხოლო სიდრმიდან წყლის მსუილი მოისმოდა.

უღრისი გაჩუქდა ისევ.

„რამდენი ხანი დარჩით იქ?“

„არ მახსოვს!“

„მანც“

„გეფიცებით ღმერთს. არ ვიცი—მე გავეკიდი...“

— თქვენს ნათქვამს არავინ არ დაიჯერებს, უთხრა გამომძიებელმა.—იმ დღესვე რათ არ შეატეობინეთ მამასახლისს.

„მრცხვენოდა, როგორ გამოვჩენილიყავ, წარმოიდგინეთ...“

აქ მოუბრუნდა ამხანაგებს „წარმოიდგინეთ—მარტო დაგებრუნდი!..“

ეს სიტყვები მან ჩურჩულით სმოქვა, თითქოს რაღაც საშინელებას ამხელდა.

ამხანაგებმა ამახედ გულ-მემატკივრად დაუქნიეს თავი. ამათ კარგათ იცოდენ, რა მხელი იყო ამის თქმა. ხომ დიდი სირცხვილია, რომ მკვარს ვერ მოუაროს!

ულრისი წაიუვანეს საყინულესე, რომ ეჩვენებინა, სად ჩავარდა ინგლისელი? ულრისმა ვერ უჩვენა ის ადგილი. ახალი მოთოვლილი იყო, არ ჩანდა არც კვალი, არც ეინულში გაკეთებული საფეხურები, არც გახეთქილი ადგილები.

დიდხანს ეკითხებოდნენ ულრისს, დასტანჯეს გამოკითხვით, გამოძიებით... ბოლოს თავი დაანებეს — ნამდვილად მას ბრალი ვერ დასდეს. მაგრამ ეჭვი კი აიღეს, რომ ულრისს მოუკლავს ინგლისელი და გაუქურდავსო. ამის გამო ამხანაგებმა აღარ მოინდომეს რომ ის მათ წრეში ეოფილიყო. ძამასდსლისიც ეჭვის თვალთ უეურებდა, თუძცა ბავშვობიდან იცნობდა მას და მის ოჯახს. „სჯობს, მოგემორდუ აქედან“ ურჩევდა ის ულრისს.

— არაფერში არა ვარ დანაშაული, ეფიცებოდა ულრისი.

ულრისმა დასტოვა სოფელი. გაუძნელდა იქ ცხოვრება, სადაც ეველა ცუდის თვალთ უეურებდა, ქვებიდან მან აიშენა ქოსი საყინულეს ძირში და სცნოფრობდა იქ ძარტოდა-ძარტო.

ამხანაგები შორს უვლიდნენ მის ქოსს. თვითონ ულრისი სოფელში არ შედიოდა. იშვიათად ნახავდნენ მას მახლობელ ქალაქში — იქ დღიურ მუშათ გადიოდა, ამითი ირჩენდა თავს. სოფელში გადაბვიწვდათ ულრისი.

გაიარა ბევრმა ხანმა. ულრისის ამხანაგები სოკი დაისოცენ, სოკი დაბერდენ. მათი შვილები დაი-

ზარდენ. მამასახლისი დაბერდა ძლიერ და თავის ნამძებობას აღარ ასრულებდა.

ერთხელ ცხელ კათათვის დღეს, ნაშუადღევს მის სასლთან მოიჭრა ვიღაც მოხუცი, მონძებში გახვეული. თვალები ანთებოდა და საშინლად ღელავდა.

— მამასახლისო, მამასახლისო, ჯეკსონი ვნახე, ჯეკსონი... ან კესმის?

უცნობს ხალხი შემოესია, კივი ეკონათ.

მამასახლისი აქ არა ცხოვრობს, ეუბნებოდენ მას.

— ჩემი მამასახლისი აქ ცხოვრობს, მუდართ აბობდა მოხუცი.

ფანჯარაში გამოიხედა ბებერმა კაცმა, მამასახლისათ ნამყოფმა.

— რა ამბავია, რა სმაურობაა?

— მე ულრისი ვარ, ტაკმერი. წამოძვევ ძალე, ძალე, შენ იცნობდი მას. დაუძახე ხალხსაც.

მამასახლისი გამოვიდა ქუჩაში.

— რას ამბობ, შეშინებული ეკითხებოდა ის ულრისს და ჩახყრდა მას სასეში.

— ულრის—ნუ თუ შენა ხარ?

— საუინულე დიდხანს შეინახავს საიდუმლოს, მაგრამ ბოლოს კი გამოაჩენს, წარმოსთქვა ულრისმა.

მართლაც საუინულე წლობით ინახავს თავის სიდრემში ეოველისფერს, რაც დაუსვდება გზაში. უინული ნელ-ნელა რომ მოცოცავს ფერდოებსე ეველაფერი მთის ძირს ჩააქვს. ადრე თუ გვიან იმას მთის



ძირს მიაქვს კლდის ნაძტვრევებია, რომლითაც წაწესებულა ვაკეს, და იმ საცოდავეების გვაბები, რომელნიც დაიღუპნენ ოდესმე მის ნაპრალეებში. ამაზე ამბობენ მთიულეები: „საყინულე იწმინდებაო“.

მთელმა სოფელმა მოიუარა თავი. გაჭევენ ულრისს. მართლაც მთის ძირას, ეინულის ნაძტვრევეებში, თოვლქვეშ მოხანდა გალურჯებული ძკვდრის თავი. ამოთხარეს—ძკვდარი მშვენივრად შეხანუღლიყო ეინულში. მამასახლისმა იცნო მამინათვე ჯეკსონი*).

— ასლა გასინჯეთ ზედა ტანისამოსი, თქვა ულრისმა.

ძკვდარს ჯიბეებში უნახეს ფული, საათი მისი სახელით, რამოღენიშე კლიტე, წერილები. ქისა ოქროთი.

— ესლა სომ ველარავინ ვერ იტყვის, რომ მე კაცის ძკვლეული და ქურდი ვარ—თქვა ულრისმა.

მამასახლისი, ჩაფიქრებული, მიუახლოვდა ულრისს და უთხრა:

— გვაპატიე, მეგობარო, უდანამაულოთ დაიტანჯე. ღმერთო, შე კი მეგონა ისე დაგებრდი და საძარეს კარს მივაღწიე, რომ ცუდი არავისთვის არაფერი არა მიქნია რა!

ა. ფ.

(თარგმანი).

*) ყინულში სხეული მშვენივრათ ინახება. ცივ ქვეყნებში ყინულში, მიწაში, რომელიც გაყინულია და არასოდეს არ დნება, ნახავენ ხოლმე ვეებერთელა მხცეების ტანს; ესენი ათასი წლოვით გაუბრუნელი შენახულან ყინულში.



ყვავილი.



ღის ნაპირას, ბუჩქებში
ყვავილი იფურჩქნებოდა
და სურნელება საამო
მიღამოს ეფინებოდა.

* *

თავს ევლებოდა ტყის სიო,
მზე კი აფრქვევდა სხივებსა;
ათას ფრად უელვარებდა,
ცვარ-მარგალიტის მძივებსა.

* *

მაგრამ იცვალა ტაროსი,
თბილ დღეთა გაზაფხულისა;
დაჰქროლა სუსხის ნიაფმა
გაისმა კვნესა გულისა.

*

და იქ, სადაცა შვენოდა
ყვავილი სურნელოვანი—
ჩაწა და მოსჩანს გამხმარი,
გამეფებულან გლოვანი.

*

დასკვნა სიტურფის ყვავილი,
ჰყინავს... ცას მოუწმენდია;
ისმის კვლავ ყორნის ჩხავილი,
ბუღბუღს ხმა ჩაუკმენდია.

გ. ქუჩიშვილი.



ბუჩქებში გახიზნული.



ფოთლები ისე იდუმალად შრიალებდნენ, ჰაერი ისეთი სუფთა და წყნარი იყო, რომ დაუსრულებელი სიციცხლე, მხოლოდ სიციცხლე ენატრებოდა ირგვლივ ყველაფერს. მზის ალერსისგან ხეზედ შეზუნზლულ ხილს გვერდები ისე შესწითლებოდათ და ისე გალამაზებულიყვენ, რომ მათ გარშემო მოტრფილად ფრინველთათვის თვალი ვეღარ გაესწორებინათ და მორცხვი პატარძალივით თავები დაბლა ჩაეღუნათ. შავად და შწვანედ ეღვარებდნენ დასრულებული მტევნები ფოთლებთა შორის, რომელთაც გარშემო ნაზი ხვრთქლა ისე მოხვეოდა, თითქოს მათი ალერსით, სიყვარულით გულს ვერ იჯერებდა და ნიავის ოდნავ დაბერვაზედ თავის დარხვევით ჩუმად რაღასაც ევედრებოდა. ღობის გასწვრივ ნუშებს პირი ისე დაეღოთ და ისეთას ხარხარებდნენ, რომ მოულოდნელად სიოსაგან შერხეულნი თავებს ვეღარ იმაგრებდნენ და მთლად გატიტვლებულნი პანტა-პუნტით ძირსა ცვიოდნენ. მათ ხარხარზედ გოგრები ცნობის მოყვარეობით ღობეზედ შემოცოცებულიყვენ, დასიებული თავები ღობეს აქეთ გადმოეკიდათ და მოფუსფუსე, საზრდოთი დატვირთულ ქიებისათვის დაგრეხილი კავები კიბეებათ გადმოეყარათ. აქა-იქა ღობეებზედ ეკლებსა და ფიჩხებ შუა მათი დაგვიანებული ყვავილები ქოლგასავით ისე გადაშლილიყვენ, გეგონებოდათ ამ საერთო გრძნობას და ჰაერს გამხმარი ფიჩხიც კი აუყვავებიაო. ვენახის თავიდან დრო გამოშვებით ჩამოცვივრულ ვაშლს ზაპა-ზუპი გაუდიოდა. რუ—მის ძირას, ცრემლის ფრთა მოჩუხჩუხებდა და თვისი პაწია ტალღებით შიგ ჩაცვივრულ ხილთან ერთად, ათას ფრად ანთებულ ქაფის ბურთებს თვალის სისწრაფით მოაქანებდა. მის გადაღმა გამხმარი სიმინდი დაბლა

თავდახრილ ლილიფარას რაღაც ამბავს ისე გრძნობით ემსახურებოდა, რომ იქვე, კვრინჩხის ბუჩქზედ გამობმულ ქირიან ქათამსაც კი ჭრუანტელს ჰგვრიდა.

დიდება შენს მიუწლომელ განგებას, ძლიერო ბუნება! შენს წილში ერთი რომ კვდება, მეორე იმავ დროს ტანჯვა-ვაებით იზადება, მესამე კი ქორწინდება და მხიარულდება!

იმ დროს, როცა სიცოცხლით ყველა ტკბებოდა, როდესაც ყველას მზე ისე თვალ წარმტაცად ილიმებოდა, ცალი ფეხით ძაღლისავით გამობმულ კრუხისათვის მთელი ქვეყანა ბნელდებოდა და ინგრეოდა.

მერე რისთვის, რა დააშავა? განა სიცოცხლე იმას უფრო ძალიან არ უყვარდა? სულ რომ ცოტა ვსთქვათ, — ოთხჯერ კრუხად მაინც იჯდა; ასამდე ლამაზი ქორორები დაზარდა, ხმაო ამოღებულ გამირივიო ყვავსა და კაქკაქს ეომებოდა.

განა იმისთვის ეომებოდა, რომ ამ ნეტარ დროს ასე უსამართლოდ, ტანჯვით და წამებით სიცოცხლეს გამოსალმებოდა?

სწორედ მესამე დღე გათენდა, რაც იმ ქოთაკმა სიღამ თავის ძვირფასს საჭათმეს, ქორიან შეიღებს და ხუთი ეზოს ბატონ-პატრონ მამალს მოაშორა და სადღაც ვენახის თავში სულის ამოსასვლელად გამოხიზნა.

სიკვდილი თავისთვის იყვეს, ჯანდაბას მისი თავი, ყველა სიკვდილის შეიღები ვართ, ცას არავინ შევაბერდებით, მაგრამ ასე უმადურათ თავიდან მოწყვეტა და მოშორება რომელ დავთარში სწვრია?

ასე ჭეიქრობდა ბუჩქების ძირას ობლად მიტოვებული მომაკვდავი კრუხი და მისდა უნებურად მთელი სიცოცხლე, სიკვდილის წამს, ქრელ ხალიჩასავით ეხატებოდა. მაშ რისთვის იყო ისეთი ბედნიერი, როდესაც ცხრამეტ იხვთან ერთ გამოჩეკილ ქულა წიწილას მთელი ოჯახი თავს ევლებოდა; ბავშვები აღერსით მოსვენებას არ აძლევდენ, ბებერ ნენეს კი გამოსაშუშად სულ გულში უჯდა და მეზობლებთან ჰურის სასესხად წივილით დააქანებდა. ზამთარში ხომ, ერთი სიტყვით, თუნუქის ქვეშ ბატონ-კაცურად, წინდის ნაგლეჯზედ განცხრომით იჯდა და სითბოთი განაზებული თუნუქის გუგუნს ტკბილი ჭუკჭუკით ეხმაურებოდა.



მაშ რისთვის იყო ისეთი ბედნიერი, რომ თვეთ-სამსულს კატაც კი იმას შენატროდა და რომ მისი ნასუფრალით მსუნავი კუჭი ზოგადლიერებინა, ვითომ ამაღის საკითხავად გვერდით ეშმაკურად მოუსკუპდებოდა და ერთი ენის აფხაქუნებით ნამცეცებს სულ მთლად უტვლევდა. მისი ახალ გაზრდობა ხომ სწორედ ტკბილ სიზმარს ჰგავდა: ყველა უბნის ვარიებში სილამაზით და მოხდენილობით ისე იყო განთქმული, რომ იმ შეჩვენებული ყვინჩილებისგან მოსვენება არა ჰქონდა. ყველა იმას მეგობრობდა, ყველას იმასთან უნდოდა ყოფნა. სად იყო სად არა ნენე შუა ღამისას, სანათით ხელში თავის ყვინჩილას საძებრად, კალთებ დაკარწყახებული ჩვენი საქათმისკენ გამობრბოდა და წყევლე-კრულვით, არა მკითხე ზეციძეს სახლში მიიჩხავლებდა. ბარემ დიდ უკმაყოფილებას აცხადებდენ დანარჩენი ქათმები უღრო-უღროთ დაწოკებისათვის, ბევრიც ქორებს უგონებდენ, მაგრამ რა ექნა საბრალოს, როდესაც მოსვენებას არ აძლევდენ. ღმერთია მოწამე—ბევრჯელ კიდევ დაემალა, ერთ საღამოს საქათმეში დასაბუდათ არც კი შესულა; საქათმის გვერდით მსხლის კენწეროს მოექცა, მაგრამ თვალის დახამხამებზედ ის შეჩვენებული მამლაყინწაც თან აჰყვა და სუფთა ჰაერით ჯანზედ მოსულმა განთიადისას ისეთი ძლიერი ყიყლიყო შემოსძახა, რომ მთელი სოფლის მამლები სულ ყალყზედ დააყენა. ბევრჯელ მოქიშვე უცხო ქათმებს ცხვირ პირიდან სისხლი ადენინა მასთან გასეირნებისათვის, მაგრამ ახლა კი... ამ სიკეთის დროს, დიდი პატივის და ოჯახის პატრონს საიდანდაც ოხერი ქირი გამოუფარდა და ამ აუწერელ ტანჯვა-ვაებით უნდა სიცოცხლეს გამოასაღამოს. მერე რისთვის, რა დააშავა, ან რად ცოცხლობდა აქამომდე, თუ კი ის სიზმრის მსგავსი სიცოცხლე ესე უღმერთოდ ჩამწარდებოდა? ვაი, ცოდვილო წუთი სოფელიო, სადაა შენი სიმართლე? ცრუ ყოფილხარ, დაუნდობელი.

როცა ჯანსალი და მედიდური ქათმებთა ჯოგს, როგორც მარშალი წინ მიუძღოდა, განა მარტო მაშინ იყო პატივსაცემი და ფას დებულის? როდესაც მუდამ უშიშრად და მხიარულად მასზედ მოსულ მტერს ლახვარივით ეტყერებოდა,

—მარტო მაშინ იყო ძლიერი და სათაყვანო... სხვანი როგორ გავამტყუნო, როდესაც მისმა ნამადგარმა შეილებმა, რომელთა დაზრდაშიაც იმდენი ვაი და ვაგლახის მნახველი იყო—იმ შეილებმა ერთხელ ზედაც კი არ შეხედეს; გატეხილ ქვევრზედ ცალ ფეხზედ მდგომი მამალი ხომ ავადმყოფს ისე დაბლვერით შესჩერებოდა, გეგონებოდათ უქეიფობისათვის მივარდება და შუაზედ გაგლეჯავსო, მაგრამ გაგლეჯაც კი არ აღირსა: ზურგი მალე მიაქცია, გულზედ მოსულმა მის ჯიბრზედ ფრთები კოხტად შეიბერტყა, ერთხელ თავმომწონეთ ყიყლიყო რიხიანად შესძახა და ლობეს იქით ნაგავზედ მონადირე დედლებთან ერთა ჩამოფხატულმა მხიარულად ლეკური ჩამოუარა.

— შე ცრუ, საზიზღარო წუთისოფელო, რისთვის ვცოცხლობდი აქამოდე, თუ ტკბილი გრძნობა მტანჯველ სიკვდილად შემეცვლებოდა... შე...—აქ გამწარებულ მომაკვდავს, უნდოდა უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად გაუგებარი წუთისოფელი დაეგმო და დაეკრულა, მაგრამ სიმწარისგან თვალ დაბნელებულს უცებ რაღაც სინათლემ შემოუშუქა და მისი ტანჯვა-ვაება ნეტარ გრძნობათ შესცვალა. სინათლე უფრო თან და თან დიდდებოდა და იმ ნათელთან ერთად გულს რაღაც ლხენაც ეფინებოდა.

აგერ სინათლეს რაღაც არსება თან ამოჰყვა... თითქოს უფრო უახლოვდება; ტკბილად უღიმის და თითქოს მადლობის ნიშნათ თავს დაბლა უკრავს. ცოტაც კიდევ მოახლოვდა და ახლა კი იცნო მომაკვდავმა დაკარგული ჩხართვის ბარტყი.

— შე რომ გავზარდე, გამოგკვებე ლობის ძირას.—თითქოს სიამით გაიფიქრა მან, თან მოღიმარს სიხარულით ცქერა დაუწყო და ის დრო წარსული თვალ წინ საამურად გადაეშალა: ცივი ქარი დაღმეოდა გატიტვლებულ არე-მარეს; გამხმარ ფოთლებს ჰაერში უგზო-უკლოდ აფრიალებდა და გადმოფანტულ ღრუბლებით ქვეყანას გაუთავებელ წვიმით ემუქრებოდა. ის იმ დროს ლობის ძირას კიაცელებს დაეძებდა, როდესაც რაღაც წრიბინი შეესმა და ამომშრალ რუში რომ ჩაიხედა — გული და სული ცოდვით აევსო: მაღალ ლობიდან,




სადაც ჩხართვი მუდამ ბუდობდა, ტიტველა ბარტყე^{ქვემოთ} ჩამოვარდნილიყო და მომაკვდავი საცოდავად ძიგძიგებდა. ფრთის ქვეშ შეისვა, შვიდი დღე და ღამე სახლში აღარ შეუხებდნია, ვიდრე სითბოთი და კია-ლუით ჰაწია არსებას სულს მოუდგამდა და მოაყოცხლებდა. ბებრი სიცივე და გულის ხეთქვა გადაიტანა, მაგრამ ნუ თუ ის უბრალო მოვალეობა ამდენ სიხარულს, შეგებას და ლხენას სიკვდილის დროს მოუტანდა?

— ოჰ, რა ყოფილხარ ტკბილო სიცოცხლე, თუ კი სიკვდილს ასე კეთილს მოუჩნიებდი! აქ ქათამმა, თითქოს სიამით და დაფიქრებით თავი დაბლა ჩაჰკიდა, გვერდზე მიწვა და სამუდამოდ მიიძინა.

ბუნება იმ წამს მის გარშემო მოლხენილ პატარძალივით იცქირებოდა და სიოსაგან აჟღერებული ფოთოლოთა წყნარი შრიალით უკვდავ ხმაზე მკვდარ ქათამს ტკბილად დამღერდა.

ცქვიტი.



ბიძიას ნაამბობი.

(ბავშვების ცხოვრებიდან)



მე და ექვთიმე.

მე და ექვთიმე გვარაძე დავმეგობრდით... მე იგი ძალიან შემიყვარდა, იმ ამბის შემდეგ, იმასაც ძალიან უყვარვარ და თავს მევლებოდა... უერთმანეთოთ პურს არა ვტეხავთ, უერთმანეთოთ ფეხის გადადგმა არ შეგვიძლია. იგი ამაღლდა ჩემს თვალში... იდეალათ მყავს გამოსახული... მისი კეთილშობილური გამომეტყველება სხვისა ფენს ჩემს გარეშეშეშო „რა კარგი რამ ხარ, ექვთიმე!“ ვფიქრობ მაღიშვალ ამას და ვნატრობ, რომ მეც ისეთი ბედნიერი ვიყვე, როგორც ის. ხელი ხელს გაყრილები სულ ერთათ დავდივართ, ერთათ ვთამაშობთ, ერთათ ვდარდობთ და ერთათ ვიღებთ... ყველა ჩვენ გარეშეშეშო ტრიალებს, ყველა ჩვენ შემოგვანატრის, ყოველი გულ-ჩათუთქული ამხანაგი ჩვენგან ელის ნუგეშს... ჩემი მეგობრობის ამბავმა ჩემს უფროს ძმის ყურამდისაც მიაღწია და ერთს დღეს, პირველათ ჩემს სიცოცხლეში, დიდი წერილი მომივიდა მისაგან.

ჩემი ძმის წერილი

14 იანვარი

„ჩემო ძვირფასო სანდრო! იისა და ვარდის სურნელობით აივსოს ეგ შენი გული, როგორც ჩემი გულია სავსე სიხარულითა! ყოჩაღ, ჩემო კარგო, ყოჩაღ! და რისთვის გიძახი, ბიჭო ყოჩაღს, რატომ არა მკითხავ? იმისთვის გიძახი, ჩემო კარგო, რომ შენ მეგობრათ ექვთიმე გვარაძე ამოგიჩვენია. მეგობრობა დიდი რამ არის, ჩემო კარგო! მეგობრობა, თუ კარგი მეგობრობაა, ნათელსა ჰფენს, აკეთილშობილებს, აცის-

კროვნებს ადამიანის გულს.. მე სწორეთ ის მახარებს, რომ შენა გცოდნია მეგობრის ამორჩევა. ექვთიმე გვარაძე ძალიან სამეგობრო ბიჭია, ბევრს რასმე კარგს შეისწავლი შენ იმისაგან, ბევრს რასმე კეთილშობილურ მისწრაფებისაკენ მიგახედებს იგი შენ. ის უბრალო მუშის შვილია, წვითა და დაგვით გამოზრდილი... მის დედმამას ბევრი რამ გაროველია ცხოვრებაში, ბევრი უსამართლობა უნახავთ, ბევრი ცრემლი უღვრიათ და ამ უსამართლობის წინაშე თავი არ მოუხრიათ. ბრძოლაში უფრო ძლიერ გაკაცებულია მათი გული და თავიანთ ცხოვრების დროშაზედ წაუწერიათ:

„რომ ბედში მყოფი,
 შენ ძმათ მიგაჩნდეს
 ეგ ვერაფერი სიყვარულია —
 საქმე ეს არის, ის შეიყვარო,
 ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“...

ექვთიმეც მონათლულია ამ კეთილშობილურ მისწრაფებაში, მისი გული ნახსურებია დედ-მამის მადლში და ბევრი რამ ვაჟკაცური მაგალითების მოწამე იქნება! მიბაძე მაგ ბავშვს, მიბაძე ჩემო კარგო! შენ მაგის მეგობრობაში არ მოსტყუვდები და მეც მუდამ ჟამს გახარებული ვიქნები“.

„ამასთანავე არ შემოძლიან ორიოდ საყვედურიც არ შემოგიფალო, ჩემო კარგო! ხომ გახსოვს თქვენს კლასში რაც ამბავი მოხდა? იმ ამბის შემდეგ შენ იმ მასწავლებელს ზიზლით იხსენიებ, ხანდახან ლანძღავ-აგინებ კიდევ... ნუ სჩადი მაგას — ეგ ცუდი საქციელია... ჯერ შენ პატარა ხარ, ცხოვრებისა არა გაგეგებარა... ჩვენ ბევრს იმისთანა კაცსა ვლანძღავთ, რომელსაც ბევრი რამ გაუკეთებია ქვეყნისთვის, ბევრი კეთილი უთესია, ბევრი „ნარეკალიც“ უგლეჯია... ვასილ პეტროვიჩიც, როგორც თქვენ უძახით, სწორეთ მაგვარი კაცია. ამას თავის ახალგაზღობა, თავისი ძალი და ღონე შენისთანა პატარეებისათვის შეუღლევი... ბევრი რამ უწერია, უქადაგნია თქვენი დღევრძელობისათვის და დღეს თუ ავ გუნებაზეა ამასაც თავისი მიზეზი აქვს... ამ ორი წლის წინათ გამხეცებულმა მტარვა-

ლებმა ორს მის შვილს დედის წინ გაუგმირეს მახვილით გულს. ესეც მაშინ, როდესაც ვასილ პეტროვიჩი, შენისთანა დაწოკებულნი ბავშვების დასაცველად ქუჩაში გავიარდა... ისინი დაიხსნა, დაიფარა და შინ კისისხლში მოცურავე თავისი ბავშვები დაუხვდა. ამის ცოლმაც ვერ აიტანა ეს შემადრწუნებელი ამბავი, ქკუაზედ შესცდა და ამანაც იმ პაწაწინეების საფლავზედ დალია სული. აუტანელი სურათია, ჩემო კარგო ყველა ეს! ენით გამოუთქმელი სურათი... ეხლა მისი გული მკვდარია, ღრინავს, გამბრაზებულია, ლოთობს კიდევ და ამ დროს თქვენც, ისედაც დამწვარ-დადაგულს, აჯავრებთ, ლანძღაფთ, აგინებთ. ნუ შვრებით მაგას! ახლა მაინც დაუფიქრდით თქვენს საქციელს მისი სახელის შეურაცხყოფა—საზოგადოების, ქვეყნის შეურაცხყოფა... ეხლა იგი ავით არის, სწუხს თავის საქციელზედ და თქვენ ცუდს არ იზამთ, რომ წახვიდეთ მის სანახავათ... თქვენი ნახვით იგი გაიხარებს და თქვენ გულსაც შვება მიეცემა.

შენი იასონი.

ჩემი ძმის წერილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მოწაფეთა შორის; დიდი გავლენა მოახდინა ჩვენზედ. წერილი ხელიდან ხელში გადადიოდა და დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველას გვეცოდებოდა საცოდავი მასწავლებელი, ყველა იწოდა მისი ცოდვით, ყველას გული ეკვეთებოდა მისი ცოდვილის უბედურობით. რამდენიც ხანი გადიოდა უფრო ძლიერ გვკვებოდა სინილისი და სირცხვილი უღიტიანებდა ჩვენს გულს. ექვთიმე გვარამე ყველაზე ძლიერ ენთებოდა და ცრემლათ იღვრებოდა... ბეჟანაშვილიც აღარავის ეკარებოდა—იგი სულ მუდამ კუნჭულში იდგა და გულ-ჩათუთქული იგონებდა თავის წარსულს, გავლილ გზას. სახე ეღმიჭებოდა, თვალები სულ მუდამ ებრიცებოდა და მისი, ისეთაც მკრთალი სახე, დღეს სულ ნაცრის ფერათ გამოიციქრებოდა. მალი-მალ ოხრავდა და ერთს გაჩერებულ წერტილს თვალს არ აშორებდა. „რა ვქენი, რა მომივიდა? რაზედ მოვკალი ის პატიოსანი კაცი? რაზედ მივაყენე სასჯელი, ფიქრობდა ბეჟანაშვილი.. გული ეთუთქებოდა და ამხანაგების ჟრიაშულს ყურადღებას არ



აქცევდა. მეც არა ნაკლებ დამიდარდიანდა გული, ლაქლაქებულმა სახემ ფერი იცვალა... თვალებს ცრემლები მოაწვა და მარგალიტივით გადმოდენა დაიწყო... ყველამ ჩემკენ დაიწყო იმ წუთს ცქერა და თანაგრძნობის ნიშნათ ყველამ ალერსი დამიწყო, ყველამ თავისი ვარდი გული გადამიშალა საყნოსველათ. ბევრს ვერ გაეგო მიზეზი ჩემი დადარდიანებისა; ზოგი ავთმყოფობას აწერდა, ზოგი გაკვეთილების უცოდინობას და ერთმა ღარიბმა მოწათემ პურის ნაჭერიც კი მომაწოდა — იმას ეგონა მშინ და იმისთვისა ვარ ასე მოწყენილათ.

ექვთიმემ ხელი ჩამკიდა, — თავისებურათ მიმატრ-მომატრი-ალა და გამიყვანა გარეთ. ბეჟანაშვილიც უკან გამოგვყვა და ჩუმათ სამივემ გადავწყვიტეთ ავთმყოფი მასწავლებლის ნახვა.

(გაგრძელება იქნება)

ალ. ნათაძე.



გესლიანი გველები ცხელ ქვეყნებში.




რავალგვარი გესლიანი გველებია ცხელ ქვეყნებში. მათ შორის შესანიშნავები არიან სათვალისანი გველი და მჩხრიალა გველი. სათვალისან ეძახიან იმიტომ, რომ იმ გველს კეთუხე იმისთანა გამოხატულობა აქვს, გგონება სათვალე აქვს გაკეთებულიო. მჩხრიალა კი იმის გამო დაურქმევიათ მეორე ნაირ გველებისათვის, რომ კუდზე მათ მაგარ-მაგარი რგოლები

ასხიათ რქის გვარ ნივთიერებისა, შიგნით ცარიელები. როდესაც მოძრაობაშია გველი, ეს რგოლები ერთმანეთს ეხახუნებიან და ჩხრიალს გამოსცემენ, თითქო საჩხარუნო აქვს გველს კუდზე მიბმულიო.

საოცარი სანახავია სათვალისანი გველი, როდესაც იგი შეშინებულია და გაჯავრებული მტრის დანახვით; განსაკუთრებით როდესაც ადამიანს დაინახავს. ამ დროს იგი მოგრაგნის ხოლმე უმეტეს ნაწილს თავის სხეულისას, ესე იგი ქვემო ტანს, წელს ზევითა ტანს კი ასწევს მაღლა პირდაპირ, თავს მოიხრის, კისერს გაიბერავს, გადმოავდებს ბოძალა ენას და ნამეტანის გულ მოსულობისაგან საშიშრად სისინებს. ამ მდგომარეობაში, თითქო კალხზე დადგომილაო, ამოძრავებს სხეულის ქვემო ნაწილს და სისწრაფით უახლოვდება მას, ვინც განარისხა იგი.

სათვალისანი გველები იცის ინდოეთში, ჩინეთის სამხრეთ ადგილებში, ინდო-ჩინეთის ნახევარ კუნძულებზე, ცეილონის კუნძულზე, ზოგ ადგილას სპარსეთში და სპარსეთის მახლობელ ცხელ ქვეყნებში. ცხოვრება უყვართ ქვების გროვაში,

შენობების ნანგრევებში და წვრილ ოთხფეხთა ხვრელებში, რომელნიც უკვე დაუკლიათ ამ ცხოველებს. ხანდისხან ადამიანის სადგომის მახლობლადაც დაბინადებულან ხოლმე ნარვლებში (ნარვალთა წყლის სადინარი პატარა არხი). მათს საზრდოს შეადგენენ ვირთაგვები, თავგები, ქათმის წიწილები და სხვა ფრინველთა ქუჩულები.



სათვალბიანი გველი.

სათვალბიანი გველი მარჯვე ცხოველია; წყალში კარგად სცურავს და ხეზედაც ემარჯვება ახოხება. ერთის მოგზაურის სიტყვით, ერთხელ თურმე სათვალბიანი გველი ახოხებულყო და კოკოსის პალმას მოქცეოდა კენწეროში: ჰფიქრობენ, კოკოსის წვენის სიტკბომ მიიზიდაო, რომელიც თურმე იქიდან ჰგონაფდა. მაგრამ ის უფრო საფიქრებელია, რომ ფრინველებს ერჩის და მათმა სიყვარულმა აიტაცა იქ, ან იმისთვის ახოხდა, რომ გაენადღურებია ფრინველის ბუდე, რადგან კვერცხებიც უყვარს. სათვალბიანი გველი ძალიან გესლიანია და ხშირად მომხდარა, რომ მისგან დაწხამული ადამიანი რამდენსამე საათში გამოთხოვებია წუთის სოფელს.

ინდოელი თვალთმაქცები ხშირად ატარებენ სათვალბიან გველებს და თამაშებენ ხალხის საჩვენებლად. ამ დროს ისე თამამად ეპყრობიან მათ, რომ იფიქრებ, უცქველად მოჯადოებული ჰყავთ გველები და იმიტომ არ იკბინებიანო. მაგრამ არა, ჯადო აქ არაფერია და არც შეიძლება იყოს: საქმე იმაშია, რომ თვალთმაქცებს კარგათ აქვთ შესწავლილი სათვალბიანების ხასიათი და ისე მარჯვედ იქცევიან, როდესაც თამაშებენ, რომ არ აკბინებენ, — იმდენათ არ გააჯავრებენ ხოლმე. ამბობენ, რომ როდესაც იქერენ სათვალბიან გველებს, გესლიან კბილებს აგლეჯენ მათ და მასუკან აჩვენენ თამაშსაო. შესაძლებელია ასეც იყოს, მაგრამ ერთი მკვლევარი ამ.

ქართული
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

ბოზს, გამოცდილებით ვიცი, ხშირად იმისთანა საფუძვლიან გველებსაც ატარებენ ხალხის საჩვენებლად, რომლებსაც გესლიანი კბილები ამოგლეჯილი არა აქვთო. უეჭველია, თვალთმაქცები თავის სიმარჯვისა და სიფრთხილის წყალობით იცდენენ ხოლმე თავიდან გველის კბენას.

ერთი მოგზაურთაგანი ასე აგვიწერს სათვალღიანი გველის შელოცვას და მის წარმოდგენას: „სალამოს ექვსი საათი იქნებოდა, რომ ჩვენს გემზე შემოვიდა ერთი ინდოელი თვალთმაქცი; თან მოიტანა ერთი დაბალი კალათი, რომელშიაც თურმე სათვალღიანი გველი ჰყავდა. იგი დაბინავდა გემის წინა ერდოზე. მეზღვაურები, რომელთაც უნდა ეცქერნათ წარმოდგენისთვის, გარს შემოერტყენ მას, ჩვენც, მოვემზადეთ საცქერლად. დაიწყო წარმოდგენა. კალათს თავი ახადა ინდოელმა და თითონ წინ დაუდგა. რაღაც სალამურის მსგავსი საკრავი ექირა ხელში და იწყო მისი დაკვრა. დიდ ხანს უკრავდა, უკრავდა სულ ერთს ხმაზე; რაღაც გაქიანურებული ხმა იყო. გველი შეინძრა კალათში, თავი მალლა ასწია და დადგათავისებურად ყალხზე, მაგრამ კალათიდან კი არ ამოსულა. აქეთ-იქით იცქირება, თითქო ახალს ადგილს ეცნობაო. მერმე, თითქო რაღაც აღშფოთებსო, — ჯავრდება, კისერი თანდათან ებერება, ენას ამოძრავებს და საოცრად სისინებს, რამდენჯერმე გაიწევს თვალთმაქცისაკენ, რომ უკბინოს, მაგრამ თვალთმაქცი უკუხტება ამ ღროს და იცილებს თავიდან მის გესლიან კბილებს. ამასობაში იგი უცქერის გველს რაღაცა უცნაურის თვალთ, უცქერის ისე, რომ ერთ წუთას თვალს არ აშორებს, თითქმის არც კი ახამხამებს თვალებს. საკრავის ხმა თანდათან დუნდება. ამის მიხედვით, თითქო გრძნობით ყურს უგდებს მიდუმებულს მუსიკასაო, სათვალღიანი გველიც კოტათ მშვიდდება და იწყებს აქეთ-იქით წყნარად თავის რხევას, ენა გადმოვდებულთ. ბოლოს თითქმის სულ დამშვიდდა, დაწყნარდა მთლად, თითქო თვლემას ეძლევაო. უწინდელი გამოხედულობა კი აღარ ეტყობა: უწინ რომ შეგეხედა თვალებში, იტყოდი, რომ იგი მზათაა ერთ თვალის დახამხამებაში შთანთქას თვალთმაქცი და მოსპოს მისი სახსენებელიო; ახლა კი უცქე-



რის მას დამშვიდებული აღერსიანად, თითქო მოხიბლული მისგან. ამ დროს თვალთმაქცი მიდის და თავის ცხვირის წვეს გველის თავთან მიიტანს და მიადებს თავზე, მერმე ენას გამოყოფს და ენის წვერსაც მიადებს. ეს ყოველივე ხდება ერთს წუთას, თვალის დახამხამებაში. ამ დროს გველი გრძობაში მოდის, ხელახლა ცხარდება, უნდა უკბინოს თვალთმაქცს, მაგრამ იგი სწრაფად უკუ იქცევა და იცილებს თავიდან გესლიან კბილებს. როდესაც ჩვენ ეჭვი შევიტანეთ და ვუთხარი ინდოელს, შეიძლება გველს გესლიანი კბილები დათხრილი ჰქონდესთქო, იგი თანახმა გახდა სხვათრივ გამოგვეცადა გველი და დავრწმუნებულიყავით ამისათვის მოვიყვანეთ ქათმები და ვაკბენინეთ გველს ჯერ ერთი ქათამი მიუშვირა ინდოელმა სათვალისა; სათვალისანი წამოდგა, ერთი შეხედა ქათამს, უცებ უკბინა და მოშორდა ექვსი წამი გავიდა თუ არა, ქათამს პირის ღებინება აუტყდა და უცებ მოკვდა. მერმე მეორე ქათამი მივეუშვირეთ. მეორეს ორჯელ უკბინა და დაანება თავი. ეს ქათამიც მოკვდა რვა წამის განმავლობაში.



მხხრიალა გველი.

მხხრიალა გველების სამშობლოა ამერიკის ორივე ნაწილი — ჩრდილოეთი ამერიკა და სამხრეთი. სცხოვრობენ იქ ხმელ ქვიშოვან და ქვიან ადგილებში, რომელთაგან უფრო იმისთანას ამჯობინებენ, რომელიც წყლის მახლობლად არის. საზრდოებენ სხვა და სხვა წვრილ მწიფარ ცხოველებით,

ფრინველით და ბაყაყებით. საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ერთი მოგზაური მხხრიალა გველზე, რომელიც თურმე თრითინას გამოუდგა სანადიროდ:

— ტყეში ვიყავი მიმალული და თვალს ვადევნებდი ერთს უცხო ფრინველს. უეცრად ხმაურობა მომესმა, ამ დროს გა-




მოხტა ბუჩქებიდან თრითინა. საბრალო, რაც ძალი და ღვიძნული
 ნე ჰქონდა გაურბოდა მხზრიალა გველს, რომელიც მას დას-
 დევნებოდა. იმისთანა სისწრაფით მისრიალებს გველი, რომ
 მეტი აღარ იქნება. ვხედავ, რომ თანდათან უახლოვდება თრი-
 თინას; ცოტა კიდევ და უეჭველად დაიჭერს. ამ დროს, რო-
 გორც იქნა, თრითინამ მიაგლო სული ერთს ხემდის; თვალის
 დეზამბანებაში ავარდა ხეზედ და კენწეროში მოექცა. გველმაც
 მიატანა იმ ხემდის, უცებ შემოეხვია მას და სისწრაფით ახო-
 ხდა ხის წვერში, თრითინასთან. ესეც არის, რომ უკბინოს,
 იმ დროს თრითინამ ისკუბა და ამ ხიდან მეორე ხეზე გადახ-
 ტა. გველიც მაშინვე წოიხარა წელში, კუდი ხის შტოს მო-
 ავლო და გადისროლა თავი მეორე ხეზე თრითინასაკენ. თრი-
 თინა ხტის ერთი შტოდგან მეორეზე, ხან დაიმალება ხის
 ფოთლებში, ხან ისევ გამოჩნდება... გაშმაგებული გველი არ
 ეშვება: საითკენაც კი გადახტა თრითინა, გველიც თან გაჰ-
 ყვა. თითქმის სულ შემოიარეს ახლო-მახლო შტოები. ბოლოს
 საბრალო თრითინა ჩამოხტა ძირს მიწაზე. იმ წუთას გველიც
 იქვე გაჩნდა. ახლა კიდევ გაიქცა თრითინა. მხზრიალა ისევ
 გამოუდგა უკან. ველარ მიასწრო საბრალო თრითინამ ხემდის:
 გველი დააფრინდა კეთაზე, ისე მწარედ მოსწურა, ისე შემო-
 ეხვია მთლად ტანზე, რომ თრითინა სულ აღარ სჩანდა, მხო-
 ლოდ ჰყვირილი ისმოდა მისი. ღორმუცელა მხზრიალამ ისე
 ხარბად მოჰკიდა მას ხელი, რომ ველარც კი შენიშნა ჩემი
 მიახლოება. დაჰკბინა, დაშხაბა და მერმე მოეშვა. რო მოე-
 შვა, ასწია თავი მალთა, მასუკან დაჰხედა თავის მსხვერპლს
 და ტუჩი მიმოავლო ტანზე, თითქო უნდაო დარწმუნდეს,
 მკვდარია თუ არაო. მერმე იწყო ჩაყლაპვა. პირველად კუდი
 ჩაიდვა პირში, მასუკან ძლივ-ძლივობით უკანა ფეხები ჩაიპო-
 ტინა. ამ დროს იმდენად დიდზე გაალო პირი, რომ შეგეშინ-
 დებოდა. ბოლოს მთელი თრითინა შეთანთქა და შორჩა.

მხზრიალა გველი და სათვალეებიანი დიდათ მავნე უღონი
 არიან ცხოველებისა და ადამიანისათვის. ბევრი პირუტყვი ილუ-
 პება ხოლმე მათგან დაკბენილი და ბევრი ადამიანი ესალმება
 სიცოცხლეს. მარტო ინდოეთშიო, ამომბენ, წელიწადში ოცი



ათასამდე ადამიანი დაიკბინება გესლიან გველებსა და ვი
 ვრი მათგანი კვდებაო. ამისათვის ადამიანიც მტრობს გესლიან
 გველებს და, სადაც მოასწრებს, არ ზოგავს არც კეტით და
 არც თოფით. ამნაირად ბევრი გესლიანი გველი იხოცება. ადა-
 მიანის გარდა სხვა მტრებიც ჰყავს გველებს, მაგალითად: მაჩვი,
 სინდიოფალა (დედოფალა), კვერნა, ფარშევანგი, გარეული
 ქათამი, შვეარდენი, ქორი და სხვა. ამბობენ ირემიც ძალიან
 ემტერება გესლიან გველებსაო; თურმე ცეილონის კუნძულზე
 ირმები ძალიან ბევრ გველსა ჰზოცენ; დაინახავენ თუ არა,
 უცებ ოთხივე ფეხით ზედ დაახტებიან და ჰსრესენ უწყალოდ. —

აღუკბი ჭაჭანაძე.



ლატაკი ხალხი.

(ვიქტორ ჰიუგონი.)



ნელი, ქარიშხალიანი ღამეა; ღარიბი მება-
დურის ქოხში ზის ცეცხლა პირას ეანა
და აკონკებს ძველი ტილოს იალქანს. მას
ესმის როგორ სისინებს და ღმუის ქარი,
როგორი რახა-რუხი გააქვს წვიმას ფანჯ-
რის მინებზე, როგორ ხმაურობენ, ღრია-
ლებენ ტალღები, როცა ეხეთქებიან ისი-
ნი ნაპირებს. გარედ საშინელი სიბნელე
და სიცივეა. ღარიბი მებადურის ქოხში კი
მყუდროებაა, თბილა. მიწური იატაკი სუფ-
თად დაგვილია, ბუხარში ფიჩხი ტრკია-
ლებს, ცეცხლი საამურად ღუღუნებს, თა-

როზედ ჩამწკრივებულ ჯურქელს ლაბ-ლაპი გააქვს, შუა ოთახ-
ში იატაკზე დაგებულია დიდი ნაალი, რომელზედაც გულია-
ნად სძინავს ხუთ პაწაწინა ბაღლს, მათ თითქო ნანას უმღე-
რის ოკეანე, თავის ზვირთთა ღრიალით; ოთახის ერთს კუთხე-
ში სდგას სუფთა ფარდა ჩამოფარებული საწოლი.

ეანა ზის და აკონკებს ძველ ტილოს იალქანს, მისი ქმა-
რი კი ეხლა ზღვაზეა წასული სათევზაოთ. ძლიერ საშიშოა
ამისთანა ბნელსა და ცივ ღამეში ზღვაზე გასვლა, მაგრამ მე-
ტი გზა არ არის; ცოლ-შვილს საგლახაოთ ზომ ვერ გაუშვებს
ის ბავშობითვე შეჩვეულია ოკეანეს, შეჩვეულია თევზაობა;
თუმცა საშიშარი და სახიფათოა ეს ხელობა, მაგრამ ის არ
ემდურის თავის ბედს; ოკეანე ჰკვებავს მებადურს, მის ცოლს
და მის ხუთს შვილს, რომელთაც ასე გულიანად და უდარდლოად
სძინავთ ძველ ნაალზე. კარგი ამინდია თუ ცუდი, მებადური



ყოველ საღამოს მიემგზავრება თავისი ნავით ზღვაზედ და დედას ეხსენებოდა. მისი ხელობა ადვილი როდია! სახუმარში სხვათა მსგავსად არ არის ამ წყლის სიღრმე სივრცეში ეძიო იმისთანა მოკვადობული ადგილი, სადაც ირევა აუარებელი თევზი, თავის ვერცხლის მსგავსი ქერქლით! რა კარგათ უნდა იცნობდე ოკეანს! რა კარგათ უნდა შეგეძლოს გამოცნობა ქარიშხლის ნიშნებისა და ზღვის მოქცევისა...

უშიშარი და თამამია პატარა თევზი: მას არ ეშინია არც უზარმაზარი ტალღებისა, არც ფრიალო, ციკაბ კლდეებისა. ის გაბედულათ გაძვრება-გამოძვრება იმისთანა სასაშიშრო ადგილებში, სადაც ქუხს და ბობოქრობს ტალღები და აი მებადურიც თამამათ მიიკვლევს გზას სწორეთ იმ საშიშარ ციკაბოკლდეებისაკენ. ფირუზის ფერი ტალღები აღიან და ჩადიან მის ირგვლივ, ნაფოტივით დააქანებენ მის ნავს ერთი მხრიდან მეორისაკენ; წყლის ქაფი მის სახეს აწყდება, ნავს ქრიალი გააქვს. ტილოს იალქნებს ქარი ჰბერავს. ჟანნა კი ამ დროს ზის სახლში, აკონკებს დახეულ ბადეს და ძველ იალქნებს, ამხადებს თევზის წვეწვს ვახშმისათვის; ის გამოაძღობს ბავშვებსა, დააწვენს მათ და შემდეგ ამისა დიდხანს, დიდხანს დგას ხატის წინ და ლოცვილობს; ესმის მას ღრიალი ოკეანისა და საშინელი ღმუილი ქარისა, ხანდის-ხან შორიდან მოიძვის გულის გამგმირავი კვილი ფოცხასი. წვიმს, სულ წვიმს... სული ეხუთება ჟანნას, მის თვალის წინ იშლებიან ერთი მეორეზე საშიშარი სურათები: ვითომ მებადურის პატარა ნავი ეხლება ფრიალო კლდეზე, ნაფოტივით იმტვრევა, ინთქება უბსკრულში... აგერ დამხრჩვალნი მებადურის გვამი, ტალღებისაგან ნაპირზე გამორიყული! ოხ, საშინელებავ! რამდენი უბედურება ეშლება თვალ წინ! ძველი ხის საათი კი ხრინწიანის ხმით გაიძახის თავის ტიკ-ტიკს. ბავშვებს სძინავთ.

ჟანნა ჩაფიქრებულია: დიახ, ადვილი არ არი ცხოვრება ამ ქვეყანაში! ქმარი თავდაუზოგველათ სიცივე-ქარიშხალში მიეშურება ზღვაზედ, სადაც ყოველს წამს ათას განსაცდელს მოეღოს. ცოლი კი დილიდან საღამომდე მუშაობს, მაგრამ ნა-

ქმავარიდან რა რჩებათ? ბაღლები ზამთარ-ზაფხულ ფეხმოდებლები დარბიან. წმინდა პური არ ღირსებით არასოდეს, კარგია კიდევ თუ ქვავი იშოვეს საკმაოთ. მართალია თევზი კი აქვთ საქმელათ. შვილები მაინც ჯანმრთელები ჰყვანან, მადლობა ღმერთს! მას რაღა ანუგეშებს: „ახ! ღმერთო ჩემო! როგორ ღმუის ოკეანე! როგორ გაჰკივის ქარი! სად არის ეხლა ჩემი საბრალო ქმარი? ღმერთო შენ დაიფარე ის ხიფათისაგან, შენ შეეწიე მას!“

საწყალი დედები და ცოლები მეზღვაურებისა! რა სამძიმო რამ არის მათთვის გასტუმრება ზღვაზედ საყვარელ ქმრებისა, შვილებისა, მამების და ძმებისა. რა ძნელია მათი გამოურკვეველი მდგომარეობა ზღვაზედ! რა ძნელია წარმოდგენა იმისი, რომ შენი გულით საყვარელნი არსებანი არიან გადაგდებულნი ოკეანეში და მის ცივ, უღმობელ და მძლავრ ვეშაპის მფლობელობაში, რომელთან საბრძოლველად მოეპოვებათ, მხოლოდ რამდენიმე ერთად შეკრული ფიცრები და ძველი ტილოს ნაქრები. ერთი წუთიც არ შეუძლია საწყალ ქირისსუფალს არ იფიქროს რომ ისინი ცოცხალნი და მრთელნი არიან, რომ მათ არ მოეღოს საშიში საფრთხე.

ვინ იცის იქნება ქარიშხალმა კიდევ დაამსხვრია მისი გემი, ნაფოტათ აქცია. საბრალო დედავ! საბრალო მეუღლევ! იმტვრიე ხელები, ირბინე ნაპირებზე, იცქირე შორს, შორს... აი შენ თვალ წინ მხოლოდ უძირო ოკეანე, თავის საშიშარი ტალღებით, რომლებიც თან და თან იზრდებიან!..

შევედრე მათ, დაუყვირე: „ეი! ტალღებო! დაიფარე და დამიბრუნე უვნებლად ჩემი საყვარელი! ნუ ელი ტყუილათ, ოკეანი შენ პასუგს არ მოგცემს!

და ჟანნას უფრო ევსება გული მწუხარებით. მისი ქმარი სრულებით მარტო არის ამ საშინელ ქარიშხლიან ბნელ ღამეში, მას არავინ არ ჰყავს თანაშემწე; შვილები ჯერ ბაღლები არიან, რომ მამას მოეხმარონ, გაჰყვენ ზღვაში.

საბრალო ჟანნა! როგორ ატყუებ შენს თავს, როცა ამბობ: „ნეტავი შვილები დიდები იყვნენ და მამას მოეხმარონო!“



ნუ ამბობ აგრე, ჩემო საბრალო დედა; მალე გაიზრდებიან შვილები, ბიჭუნები, წაჰყვებიან მამას ზღვაზე და შენ კი უფრო უწუნებარებაში ჩავარდები. მაშინ სულ სხვას იტყვი: „ნეტავი ისევ ბალები იყვენ ჩემი შვილები და ჩემთან ისხდნენ ქობშიო“.

მწარე ფიქრების შემდეგ ჟანა ადგა, მოისხა სქელი, თბილი თავშალი და სანაპუროთ გავიდა ქუჩაში. მას უნდოდა შეეტყო მოდიოდა თუ არა მისი ქმარი, ან ზღვა როგორი იყო, ან გზის მაჩვენებლიდან მოჩანდა სინათლე თუ არა.

ბნელა. ხშირი წვიმა სკრის. ირგვლივ სოფელს სძინავს. სინათლე ყოველგან ჩამქრალია. სოფლის ბოლოში ზღვის ზირად მოსჩანს ნახევრად დანგრეული, გვერდზედ გადახრილი, ჩაშვებულ კედლებიანი და ძველი კარებიანი ქოხი. კარი ჭრილებს და რახუნობს, თითქო კვნესის ყოველი ქარის დაბერვაზედ და ქარიც ყველა სახლებზედ უფრო ამ საწყალ ქოხს ეხლება. თითქო უნდა მიწასთან გასწოროსო; კარი კი ჭრილებს და კვნესის; დამპალი ჩალის სახურავი ქოხისა შრიალებს, თითქო ქარს ემუდარება და ხსნას სთხოვსო.

ჟანა გაჩერდა ქოხის წინ, ჩახედა გადახრილ ფანჯარაში, — ქოხში სიბნელეა: — „უნდა მივხედო საბრალო ავათ-მყოფს“. გაიფიქრა ქალმა. — მე სულ დამავიწყდა რომ გუშინ ქმარმა მითხრა — უარესად შეიქნაო. საბრალო დედაკაცი სულ მარტოდ მარტოა... მომხედავი არავინა ჰყავს.“

ჟანამ დაუკაკუნა ფანჯარაზედ; დააყურა — სიჩუმეა. — არავინ პასუხს არ იძლევა.

„საბრალო ავათმყოფი!“ ფიქრობს ჟანა, „რა ძნელია იმ დროს ავათმყოფობა, როდესაც ოჯახი გყავს შესანახი, თუმცა ორი შვილის მეტი არა ჰყავს, მაგრამ სამაგიეროთ, ქვრივია, ყველა საქმე მას აწევს თავზედ, საწყალი, დაავადმყოფდა კიდევ. მან ხელ ახლა დააკაკუნა ფანჯარაზე, მაგრამ პასუხი არ მოისმა.“

— „ეი! მეზობელო!“ დაიყვირა ჟანამ და თან გაიფიქრა: „საწყალს რა გულიანათ ჩასძინებია, ვერც კი გავადვიძე“ ქარი გაჰკივის, ჟანა სიცივისაგან ძაგძაგებს, მას სახლში

გაბრუნება უნდა. ამ დროს ძლიერმა ქარმა ისე ღონიერათ დაჰბერა, რომ თანას თავშალი მოჰგლიჯა, ქოხის კარი ჩამოაგდო... თანა შევიდა ქოხში. დამუნჯებული ქოხი სანათურმა გაანათა. აქ ისეთივე სიცივე და სისველე იყო, როგორც ქუჩაში, ეტყობოდა ოთახი დიდი ხანია არ გაუთბიათ. ალაგ-ალაგ სახურავიდან წვიმა ისე ჩამოდინდა, როგორც ცხრილიდან. კედელთან, კუქყიან ჩალაზე ძვეს გვაში მიცვალებული ქვრისისა, თავი უკან გადაუგდია, გაციებულ და გალურჯებულ სახეზე შიში და სასოწარკვეთილება გამოხატვია, პირი ღია აქვს, გაყვითლებული მკვდარი ხელი თითქო რალაცასთვის გაუშვერია. იქვე გვამთან ორ ნაბიჯზე მჩერებში გახვეულნი წვანან ორი პატარა თმა ხუტუტა ფერ მკრთალი ბიჭები. ისინი ჩაკვრიან ერთმანეთს და სძინავთ უდარდელათ, თუმცა მათ ირგვლივ ქარიშხალი და უბედურება ტრიალებს, ეტყობა მომაკვდავ დედას მოუსწვრია და თავისი თავშალი დაუბურავს მათთვის და მათი შიშველი ფეხები თავის კაბაში გაუხვევია, რომ არ გაჰყინოდათ. ერთ ძმას ფუნთუშა ხელი ლოყის ქვეშ ამოედო. მეორეს თავი მიედო ძმის კისერზე და ასე ეძინათ. ტკბილი იყო მათი ძილი, ისე რომ არც ქარიშხალის სისინი და ღმუილი, არც ოკეანეს ღრიალი, არც თანას ყვირილი მათ არ ესმოდათ.

ქარიშხალი კი მატულობს, წვიმს; სახურავიდან ჩამოსული წვეთები ეცემა მიცვალებულის შუბლს, იქიდან გაციებულ ლოყაზე ჩამოსწვეთავს და შეჩერდება მის უსამსღვროდ დატანჯულ სახეზედ ცრემლივით...

თანა საჩქაროთ ბრუნდება სახლისკენ. მას რალაც უჭირავს მოსახურავში გახვეული. გული უძაგძაგებს... ეშინია, ეშინია უკან მოხედვისა, თითქო ვიდაც მოსდევდეს... ნუ თუ გაწყრა ღმერთი და მიცვალებულს რამე მოჰპარა?

მიიბრინა კიდევ სახლში. თავისი ტვირთი დასდო საწოლზე და ფარდა მიაფარა, შემდეგ მიუჯდა საწოლს. ის მეტად აღელვებული და ფერმკრთალია: ეტყობა რალაც აწუხებს, თითქო სვინდისი ჰქეჯნის; ხანდისხან უნებურად წამო-

იძახებს: „საწყალი ჩემი ქმარი! რას მეტყვის ნეტავი? რა ჩავიდინე ეს? ჩემი დანაშაულობა დიდია! ხუმრობა ხომ არ არის—არ გვეყოფა ხუთი შვილი? აგერ, ის მოდის?... არა, ჯერ არა!.. რისთვის წამოვიყვანე! ახი არ იქნება ჩემზე რომ მცემოს კიდევ?... აი ისიც... აი! არა, არა... ეს ბარემ მოვიდეს.. უკეთესია! კარმა დაიქრიალა თითქო ვილაც შემოვიდა. თანა შეკრთა და წამოღვა.

— „არავინ არის! ღმერთო... რისთვის ჩავიდინე ეს საქმე? როგორ შევხედო მას!“ ჩათქრდა თანა და გაუნძრევლათ ზის საწოლთან. წვიმა გადილო; ინათლა, მაგრამ ქარი ისევ ქრის, ოკეანე ღრიალებს წინანდებურათ. უეცრად კარი გაიღო, ოთახში შემოვარდა სუფთა ზღვის ჰაერი და მასთან ერთად შემოვიდა შავგვრემანი, მალალი ტანის მებადური დაგლეჯილი ბადით.

— „გამარჯობა, თანა, აი მეც აქა ვარ!“ შესძახა ცოლს. „შენა ხარ?“ დაიყვირა თანამ და გაეშურა ქმრის შესაგებებლად, გადაეხვია მას და უეცრად შეკრთა, —ვერ გაუბედა პირდაპირ შეხედვა.

— „ოხ! ჩემო საყვარელო თანა, რა საშინელი და საზარელი ღამე იყო!

— „ძლიერ საშინელი.. მაშ როგორ ითევზავე?

— „საბაგლათ, ყოვლად უვარგისათ! არაფერი არ დამიქერია, მხოლოდ ბადე კი დავგლიჯე! ამისთანა ღამე არაოდეს არ მახსოვს: ქარი ღმუოდა, ღრიალებდა ემბაკივით, ნაფოტივით ისვროდა ჩემს ნავს. ერთხანს მეგონა რომ ეს არის თოკებს დავგლიჯავს და ნავს ჩასძირავს მეთქი! სად იყო თევზაობის დრო და ფიქრი. კიდევ მადლობა ღმერთს რომ ცოცხალი დავბრუნდი სახლში... შენ რაღას აკეთებდი უჩემოთ, ჩემო საყვარელო თანა? განაგრძო მებადურმა და მივიდა ცეცხლთან გასათბობათ.

— მე? უთხრა თანამ, —მე რას გავაკეთებდი? ვიჯექი და ვკვრავდი.. ქარი კი ისე საზარლად გაჰკიოდა, რომ შიშით ვკანკალებდი შენ მოლოდინში.

— „მართლა საშინელი ღამე იყო, მაგრამ რას იზამს კაცი, თუ მეტი გზა არ არის.

სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ თანამ კრძალვით და შიშით მიჰმართა ქმარს.

— ჩვენი საწყალი მეზობელი, ქვრივი მოკვდა. არ ვიცი კი როდის, ალბათ გუშინ... მას შემდეგ რაც შენ ინახულე.

ვინ იცის როგორ ემდურებოდა გული საბრალოს შეილებს... მას ხომ ორი პატარა ბიჭი დარჩა... ერთი ჯერ ვერც კი ლაპარაკობს, მეორეც ეხლა ძლივს ფორთხავს... ჟანა ჩაჩუბდა, მებაღურმა წარბები შეიკმუნხა, კეთილი სახე მწუხარებით დაეღვრიმა...

— სწორეთ უბედურებაა! წამოიძახა მან თავის ფხანით. — რა ვუყოთ ეხლა! იყო და აღარ არის! ჩვენც ხუთი შვილი გვყავდა, ეხლა შვიდი გვეყოლება... ლეკვებივით ხომ ვერ გადავყრით! როგორც შევძლებთ, ისე უნდა მოუაროთ... ისინი სულ პატარაები არიან, სად შეუძლიათ თავის გამოკვება! აი რა გითხრა, ჟანა! გაქანდი გეთაყვა საჩქაროთ და ბავშვები აქ მოიყვანე. საწყლებმა თუ გამოიღვიძეს მკვდარი დედის ნახვით ვინ იცის რა დაემართოთ! გესმის ქარი როგორ გვიკაკუნებს კარებს! — თითქო ზიცვალეებული დედა შემოგვძახის, შეიბრალებთ ჩემი დაოცლებული შვილებიო... აბა ჟანა, მოვიყვანოთ ისენი! ბავშვები დაუძმობილდებიან ჩვენს შვილებს; მეც, როცა დაღლილი დავბრუნდები სახლში, შემომგხვევიან, დამიწყებენ ხვევნა-კოცნას, ალერსს, ჩემს შვილებთან ერთად და გამიქარვებენ გულზე მოწოლილ დარღს. როცა ღმერთი გადმოშედავს და ნახავს რომ ხუთი შვილის მაგივრად შვიდი მყავს შემეწევა და ბლომათ დამაქერინებს თევზებს; ახლა უფრო ადრე გავალ ხოლმე სახლიდან სათევზაოთ ზღვაში და უფრო გვიან დავბრუნდები შინ. ერთ წვეთ ღვინოსაც აღარ დავლევ და ამით ცოტა არ იყოს შევიმცირებ მეტს ხარჯს... არაფერია, ღვთის მადლით ყველაფერს ავიტან! აბა, ჩემო ჟანა, წადი საჩქაროთ, რაღას უკდი!

ჟანა არ იძვროდა ადგილიდან.

— რას ჩაფიქრებულხარ, ქალო? ქუთაში არ მოგდის ჩემი სიტყვა? გეშინია იმათი მოყვანა? რა მოგივიდა, ჟანა? ვერ მიცვნიხარ დღეს შენა...

სახე გაბრწყინებულმა, ბედნიერმა ჟანამ წყნარათ მიიყვანა ქმარი საწოლთან და გადახსნა ფარდა...

იქ იწეა ორი ბავშვი მიცვალეებული ქვრივისა და მშვიდათ ეძინათ.

იტა.



ქალი მონადირე.

მითქმის აღარც კი დარჩა არც ერთი ნაწილი ცხოვრების ასპარესზედ, სადაც ქალს არ მიეღოს მონაწილეობა. ვეფხვებზედ ნადირობით დღემდე მხოლოდ მამაკაცები ამყობდნენ. ამ ახლო წარსულში ინგლისურმა გაზეთმა აუწყა საზოგადოებას საუცხოვო გამარჯვება ერთი ახალგაზრდა ქალისა ვეფხვებზე ნადირობაში.

ეს ქალი იყო მალალი წრის ჩამომავალი, ბენგალის მთავრის მისწული, რომელიც ბრიტანიის ინდოეთში სცხოვრობდა. მისს პოლლეს (ამ ქალის სახელია) არ აკლია სინაზე და სინარნარე, მაგრამ ძალ ღონით და ძარღვების ხმაგრით მამაკაცს არ ჩამოუვარდება, მისი სურათი გადაიღეს, როცა მან პირველად მოჰკლა ორი ვეფხვი:—სურათი ასეთია: ორი ვეფხვი მის ვეხებთან აგდია და თვითონ ქალი შეიარაღებული დგას.

პირველათ ის კაკებზედ ნადირობდა და ძალიან მარჯვითაც შემდეგ დაარსა მონადირე ქალთა კლუბი, ქალაქ ნაინიტანში, რომელიც გიმალის მთის ფერდობზე მდებარეობს.

აქ მონადირე ქალნი მოძრავ მანქანების საშუალებით ვარჯიშობდნენ. პოლლე საუცხოვოთ იღებდა ნიშანში. ბიძა მისი აღტაცებაში მოვიდა და ალუთქვა წაყვანა სანადიროთ ვეფხვებზე.

ბრიტანიის ინდოეთში ვეფხვებზე ნადირობა ხშირი და ჩვეულებრივია მეტადრე ბენგალიაში, სადაც ატეხილი ტყე და ღიბიან ლერწამ-ჭაობიანი მინდვრები უხვია.

აქ სანადიროთ დანიშნულ მიდამოებში მიდიან ხოლმე სპილოებით, მიჰყავთ თან სპილოებითვე ეგრეთ წოდებული ამალა, რომელიც ეხმარება მონადირეებს: მონადირენი წრეს შეჰკრავენ ტყეში; ან ღიბიანში, ამალა ნადირს დაეძებს. ნადირნი ფრთხიან და გარბიან, მონადირე ესვრის თოფს.

და აი მისს პოლლემ პირველათვე გამომფრთხალი ორი ვეფხვი მოჰკლა, მესამე ვეფხვი მოჰკლა მისმა ბიძამ ღენერალმა ლიუკმა, მეოთხე კი გაუსხლტათ... ყველა იქ მყოფნი განცვიფრდნენ, რადგან არ ელოდნენ, რომ ამდენ ვეფხვებთან მოუხდებოდათ ერთბაშათ შეხლა.

ერთხელ ოთხი დღის განმავლობაში მისს პოლლემ სამი ვეფხვი მოჰკლა. ეს იყო მისი ზეიმი; ამით მან მონადირეთა შორის ქალთა გამარჯვების დროშა ააფრიალა, რასაც მამაკაცთა რაზმი უკან ჩამორჩა.

IV

სოციალ-პოლიტიკური წყობილება.

1. **სამეფო, ტომი, თემი და გვარი.** როგორც ვნახეთ, ქართველების მიწა-წყალზე, მათი ისტორიული ცხოვრების მეორე პერიოდში **სამა სამეფო** აღმოცენდა: იბერია, კოლხიდა და ალბანია. თვითეული სამეფო **მრავალი ტომისაგან** შესდგებოდა, რომელთა რიცხვი, მაგალითად, ალბანიაში 26-მდე აღიოდა. ყოველი ტომი, თავის მხრივ, კიდევ წვრილ-წვრილს საზოგადოებრივ ნაწილებად იყო დაყოფილი; სახელდობრ, **თემებად** და თემები—**გვარებად**. გვარს სხვანაირად „სახლს“ ეძახოდნენ. გვარზედ უფრო ჰატარა სოციალ-ეკონომიურ (საზოგადოებრივს და სამეურნეო) ერთეულს მაშინდელი საქართველო არ იცნობდა.

გვარი ანუ სახლი წარმოადგენდა, ერთის ჩამომავლობით, საერთო საკუთრებში და წარმოება-განაწილების საერთო წესით შეკავშირებულს, ძირითადს საზოგადოებრივს ჯგუფს. სამოსახლო, სახნავ-სათესი, საბალახო, სანადირო, სათევზაო ადგილები, მადნები, ჯოგი და თითქმის ყოველი მოძრავი ქონება მთელი გვარის საკუთრებას წარმოადგენდა. სხვანაირათ რომ ვთქვათ, ქონება მაშინდელ ქართველებს საერთო-გვაროვნული ჰქონდათ და კერძო საკუთრებას (იარაღისა და ტანისამოსის გარდა) არ იცნობდნენ. საერთო-გვაროვნული იყო აგრეთვე წარმოებისა და განაწილების წესიც: ამ საქმის მომწესრიგებლად და ხელმძღვანელად ითვლებოდა მთელი გვარის უუხუცესი მამაკაცი, რომელსაც **მამასახლისი** ერქვა. მთელს თემში ერთი რომელსმე უძლიერესი გვარი დანარჩენ გვარებს ხელმძღვანელობას უწყევდა და ამ გვარის მამასახლისი იმავე დროს **თემის მამასახლისადაც** ირიცხებოდა: მის ხელში იყო ისეთი საქმეები, რომლებიც მთელ თემს შეეხებოდა. ფარნავაზ I-ელის შემდეგ თემის მამასახლისების მეთვალყურედ, როგორც სჩანს, **ერის-თავები** დაუყენებიათ. ერისთავები სამხედრო და სამოქალაქო უფლებებით იყვნენ შემოსილი და, რამოდენათმე, უძველესი დროის „ტომის მამასახლისთა“ ადგილი

უნდა დაექიროსთ. ამათ გარდა ყოველ სამეფოში იყო თითო ისეთი გავლენიანი გვარი, რომლიდანაც მეფეს ირჩევდნ.

ამგვარათ: სამეფო, ტომი, თემი და გვარი; მეფე, ერისთავი, თემის მამასახლისი და გვარის მამასახლისი, — აი რა ელემენტებისაგან შესდგებოდა ჩვენი ხალხის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სხეული და მმართველობა მისი ისტორიის მეორე პერიოდში.

2. **გვართა ხვჯ-და-ხხვაობა.** მეორე პერიოდის პირველ ნახევარში გვარი, ანუ სახლი ყოველ სამეფოში ოთხნაირი იყო: სამეფო, სასულიერო, სამეფის-მონო და თავისუფალი.

ა) **სამეფო სახლა.** სამეფო სახლად ის გვარი ითვლებოდა, რომლიდანაც მეფეები გამოდიოდნ. საქრისტიანო წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველ მეოთხედამდე, ბერძენ ისტორიკოსთა მოწმობით, საქართველოში მეფედ სამეფო გვარის უუხუცესს წევრს და წინანდელი მეფის უახლოეს ნათესავს ირჩევდნ. მეფე იმავე დროს თავისი გვარის მამასახლისიც იყო. შემდეგში კი ეს წესი თანდათან შეიცვალა და მეფედ პირდაპირ მეფის შვილი დგებოდა, თუნდაც თავისი გვარის უუხუცესი წევრიც არ ყოფილიყო. სხვანაირათ რომ ვთქვათ, ამ პერიოდის მეორე ნახევარში საქართველოს ტახტის მემკვიდრეობა პირდაპირს ხაზზე მოეწყო*) — მეფე იყო უუმაღლესი მბრძანებელი, რაც იმ დროს კანონმდებელსაც ნიშნავდა; მსაჯული და მხედართ-მთავარი. ომში ხშირათ თვითონაც უბრალო მხედარივით იბრძოდა. მაგრამ საკუთრივ ომისა და მართლ-მსაჯულობისათვის მეფეს თანაშემწეც ჰყავდა, რომელსაც მეფის შემდეგ მთელ სახელმწიფოში პირველი ადგილი ექირა. იგი ითვლებოდა მეფის მეორე პირად, იმავე სამეფო „სახლის“ წევრთაგან ირჩეოდა, მშვიდობიანობის დროს მეფეს სამართლის წარმოებაში ეხმარებოდა და ომის დროს ლაშქარს წინამძღოლობდა. — ზოგიერთი ტომი თითქმის დაზოუკიდებელი იყო მეფისაგან; და ამ შემთხვევაში მთელ ტომს სათემო ან საგვარო

*) კოლხიდაში კი ზოგჯერ ეს წესიც არა სრულდებოდა, რადგან იქ ხშირათ რომაელები ნიშნავდნ მეფეებს.

მამასახლისთა კრებული ანუ საბჭო განაგებდა. სვანეთში, მაგალითად, ამგვარი საბჭო 300 წევრისაგან შესდგებოდა. ეს საბჭო განაგებდა მთელი სვანეთის საშინაო საქმეებს და მის ურთიერთობას გარეშე მეზობლებთან.

ბ) **სახულიერო ანუ სამღვდლო გვარება.** ჩვენი ისტორიის მეორე პერაოდში ქართველი სამღვდლოება ორგვარი იყო: მნათობთა მსახური და ცეცხლის-მსახური, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სარწმუნოებაც უმთავრესათ ორგვარი იყო. პირველს ეკუთვნოდნენ „მემარგენი“, ე. ი. ვარსკვლავთმრიცხველნი, ხოლო მეორეს „მოგვები“. ერთსაც და მეორესაც ხალხი „ხუცებს“ უწოდებდა. ხუცების თანამდებობა მემკვიდროებით რამოდენსამე გვარს ანუ „სახლს“ ჰქონდა მითვისებული. საკუთრივ სარწმუნოებრივ სამსახურს გარდა, რაზედაც შემდეგს თავში გვექნება საუბარი, მაშინდელი სამღვდლოება სახელმწიფო სამსახურსაც ასრულებდა; სახელდობრ, მოვალე იყო მეზობელ ერებთან კეთილგანწყობილებაზე ებრუნა და ზავისა და ხელშეკრულობის მოწყობაში მონაწილეობა მიეღო.

როგორც სამეფო, ისე სამღვდლო გვართა რიცხვი საქართველოში ძლიერ ცოტა იყო.

გ) **მეფის მონები, ანუ „მდაბიო ხალხი“.** ცოტა იყო, აგრეთვე, მეფის მონათა გვარებიც. ეს გვარები შეადგენდნენ სამეფო „სახლის“ საკუთრებას, მის მიწაზე ცხოვრობდნენ და მეფის საგვარეულოს შრომით ემსახურებოდნენ. მართალია, ეს ჯგუფი „მონებად“ იწოდებოდა, მაგრამ არავის უფლება არა ჰქონდა, რომელიმე მათგანი გაეყიდა, გაეცა ან გაეცვალა იმ მამულის განშორებით, რომელზედაც ეს მონები ცხოვრობდნენ; არც მცირე რამ დანაშაულისათვის შეიძლებოდა მათი სიკვდილით დასჯა და სხვანი.—როგორც უცხოეთის მწერლები მოწმობენ, ასეთი „მონები“ ალბანიაში სამღვდლოებასაც ჰყოლია.

დ) **თავისუფალი ერი.** ქართველი ერის ყველაზე უმრავლეს ნაწილს „თავისუფალი გვარები“ შეადგენდნენ, რომელნიც მშვიდობიანობის დროს შინ მუშაობდნენ, ომის დროს კი

იარაღს ისხამდენ და მტერს ებრძოდენ. საქართველოს ისტორიის მეორე პერიოდში, თითქმის მე-II საუკუნემდე ქრ. შემდეგ, თავისუფალ გვართა შორის სოციალური თანასწორობა სუფევდა. მე-II საუკუნიდან კი ზოგიერთმა დიდმა (რიცხვმრავალმა) და შეძლებულმა გვარმა თანდათან სემეფოს მმართველობაში მეტი ძალა და გავლენა მოიპოვა; სამსახურით დაწინაურდა და, სუსტ გვარებთან შედარებით, ერის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკირა. ასე წარმოდგა „დიდი“ და „მცირე“, „წარჩინებული“ და „უჩინო“ გვარები. დიდისა და წარჩინებული გვარის წევრებს „გვაროვანი“ ანუ „აზნაური“ დაერქვათ, ხოლო მცირესა და უჩინო გვარის წევრებს—„უაზნო“ ანუ „უგვარო“ ეწოდათ, რადგან სიტყვა „აზნი“ ქართულში სპარსულიდან შემოსულა და ნიშნავს „გვარს“. შემდეგს პერიოდში ამ უთანასწორობამ უფრო იმატა და ნამდვილს ბატონყმობას მოუმზადა ნიადაგი.

3. სახელმწიფო ხარჯი და ლაშქრობის წესი. მას შემდეგ, რაც აზომა და ფარნავაზმა თავის სამეფოს შესაფერი წეს-რიგი მისცეს, ყოველი გვარი, თემი და ტომი ვალდებული გახდა სახელმწიფოსათვის განსაზღვრული სამსახური ეწია. ეს სამსახური ორგვარი იყო: **ხარჯი** და **სამხედრო ბეგარა**. ხარჯს ადგილობრივ ერისთავები ჰკრეფდენ, ერთ ნაწილს თვითონ იტოვებდენ, მეორეს—მეფის ხაზინაში გზავნიდენ. ამის მიხედვით სახელმწიფო ხარჯიც ორგვარი იყო: სამეფო და საერისთავო.

მეორე ვალდებულება, რომელსაც ხალხი სახელმწიფოს სასარგებლოდ ეწეოდა, იყო **სამხედრო ბეგარა**. აქ პირველათ უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენ ვეხებით, საქართველოში სამუდამო რეგულიარული ჯარი არ არსებობდა; არც ისეთი წოდება მოიპოვებოდა, რომელსაც მარტო სალაშქრო საქმე სდებოდა ბეგარად. არამედ ერთი და იგივე უდიდესი ნაწილი ჩვენის ერისა, სახელდობრ მეოთხე ჯგუფი, (ანუ თავისუფალი გვარები) მშვიდობიანობის დროს მიწას მუშაობდა და საზოგადოთ მეურნეობდა, ხოლო მტრის შემოსევის დროს იარაღს ისხამდა და საომრად გადიოდა. სხვანაირ-

რათ რომ ვთქვათ, არ არსებობდა მხედრობა, არამედ მხოლოდ
 თონ ეჭვი იქცეოდა მხედრობად, როცა საქიროება მოიხსნებო-
 და. ამიტომაც ძველათ ქართულს ენაზედ ჯარი და „ერი“
 ერთმანეთს უღრიდა. აქედან ჯარის უფროსებსაც **ერისთავება**
 ერქვათ. ამ ერისთავებს გამოჰყავდათ „ერი“ თავისი საერის-
 თავოდან, ხოლო მთელი სამეფოს ლაშქრის მთავარსარდლო-
 ბა მეფის მეორე პირს ეკუთვნოდა; რომელსაც, როგორც ზე-
 მოთ ვნახეთ, იმავე სამეფო გვარეულობიდან ირჩევდენ.


მაშინდელი ქართველების **საჭურველს** შეადგენდა:
 მწვილდ-ისარი, ფარი (ხისა ტყავადაკრული ან ლითონისა),
 შუბი; სატევარი და მახვილი (ხმალი). თავზე ომის დროს იხუ-
 რავდენ მუზარადს, ხოლო ტანზედ იცვამდენ ჯავშანს. ომში
 ქართველები სალაშქრო სიმღერით გადიოდენ.

გაჩნდებოდა საიდანმე თუ არა მტერი, ერი იმ წუთსავე
 მზადებას იწყებდა: ცოლშვილსა და მსხვილფეხ საქონელს მიუ-
 დგომელი ადგილებისაკენ გახიზნავდენ, მტრის შემოსავალ
 გზას ქვებითა და ხეებით ჩახერგავდენ, რომ მტრის ჯარის-
 თვის შემოსვლა გაეძნელებიათ. ბრძოლა ზოგჯერ „ბუმბერა-
 ზობით“ ანუ ფალავნების შეჯახებით იწყებოდა; ზოგჯერ კი
 ქართველ ჯარს პირდაპირი იერიში მიჰქონდა მტრის ბანაკზე;
 ზოგჯერაც პარტიზანული თავდასხმა (თარეშობა) იცოდენ.
 ომში ქართველები გადიოდენ როგორც ცხენით, ისე ქვევითათ.
 ჩვეულებრივ ქვევითი ჯარი უფრო მეტი იყო ხოლმე ცხენო-
 სანზე.

თუ ვინცობაა მტერი სახიზნავს ადგილებამდე მიადწევდა
 და ქართველებს თავის გადარჩენის იმედი გადაუწყდებოდათ,
 ზოგჯერ ქართველი ქალები გასაოცარს თავგანწირულობას იჩენ-
 დენ: რომ მტერს ტყვედ არ ჩავარდნოდენ ხელში, ჯერ თავის
 შვილებს ისროდენ უფსკრულისკენ და მერე თვითონაც
 თან მიჰყვებოდენ.

ასეთი იყო ლაშქრობის წესი.

4. **მეზობელ სახელმწიფოებთან განწყობილება:** ზა-
 ვი, კავშირა და ვასსალობა. ომის გათავების შემდეგ, ჩვე-
 ულებრივ, ზავის ანუ მშვიდობიანობის შესახებ იწყებოდა მო-



ლაპარაკება, რომეოშიაც დიდ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოებრივ დელოება. ხავის ჩამოგდების დროს, ზოგჯერ, მოწინააღმდეგეები რამე პირობას ანუ „ხელშეკრულობას“ სდებდენ. ხელშეკრულობა ასე ხდებოდა: ორივე მხრიდან გამოდიოდენ მთავარ-სარდლები ანუ მეფეები; მათ თან სასულიერო პირიც გამოყვებოდა. როცა მეფეები ერთმანეთს მიუახლოვდებოდენ, სასულიერო პირი მათს ცერებს შეაერთებდა და მაგრათ (ძუით) შეუკრავდა; როცა ცერებში სისხლი შედგებოდა, იგივე პირი ცერებს ოდნავ უჩხვლევდა, რის შემდეგაც მეფეები ერთმანეთს სისხლს ამოსწოვდენ ცერებიდან. ეს წესი ითვლებოდა ყოველი პირობის დამამტკიცებელ საბუთად და მისი დამარღვეველი მხარე პირდაპირ ღმერთთან იყო პასუხის-მგებელი.

ხანდახან მეზობელი სახელმწიფოები დროებით ერთდებოდენ, რაიმე საზოგადო მიზნით, მაგალითად საერთო ძლიერი მტრის დასამარცხებლად. ასეთს დროებითს ერთობას ეწოდებოდა კოალიცია ანუ **კავშირი**. სწორეთ ამგვარი კავშირი გაიმართა, როგორც ვიცით, რომაელების წინააღმდეგ, ჰიტრიდატ დიდის თაოსნობით I-ელ საუკუნეში ქრ. წინ. კავშირში მონაწილეობას იღებდა: პონტისა, სომხეთისა, ალაბანიისა, იბერიისა და კოლხიდის მეფეები. უფრო ხშირათ კი იბერიელები და ალაბანელები ერთდებოდენ ხოლმე საზოგადო მტრის წინააღმდეგ. კავშირის წევრნი უმეტეს შემთხვევაში სწორ-უფლებიანი სახელმწიფოები იყვენ: იურიდიულათ მათ შორის არავითარი უთანასწორობა არ არსებობდა; ამიტომ მათს კავშირსაც „სამეგობრო კავშირი“ ეწოდებოდა, თუმცა ცხოვრებაში, ფაქტიურათ, ეს სამეგობრო კავშირი ხანდახან „ბატონეობად“ იქცეოდა ხოლმე. უუძლიერესი მხარე თანდათან მეტს გავლენას პოულობდა სუსტი მეგობრის შინაურ საქმეებში და მაშინ „კავშირი“ ვერეთ წოდებულ „**ვასსალობად**“ იქცეოდა. ამის საუცხოვო მაგალითს იბერიისა და რომის ურთიერთობა წარმოადგენდა.

როგორც ვიცით, მან წლიდან ქრ. წინ მესამე საუკუნის ბოლო წლებამდე ქრ. შემდეგ (ნიზიბინის ხელშეკრულებამდე

297 წ.) რომსა და იბერიას შორის მხოლოდ „სამეგობრო კავშირი“ არსებობდა: რომის იმპერატორები იბერიის მეფეებს „რომის ერის მეგობარს“ ეძახოდნენ. ნიზიზინის ხელშეკრულებით კი ეს მეგობრობა უფროს-უმცროსობად, ბატონ-ყმობად ანუ ვასსალობად გადაიქცა: იბერიის მეფეები ვალდებული გახდნენ სამეფო ნიშნები რომის იმპერატორებისაგან მიეღოთ; რომის იმპერატორებმა მოიპოვეს უფლება იბერიის მეფეთა დამტკიცებისა. ამგვარივე განწყობილება უკვე დიდი ხანია არსებობდა კოლხიდასა და რომს შორის. როგორც კოლხიდას, ისე იბერიის მეფეები ვალდებული იყვნენ რომისათვის ჯარი ეძლიათ, როცა საჭიროება მოითხოვდა; რომაელთა ლაშქრისათვის საზღვო მიიწოდებიათ და იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები გარეშე მტერთა შემოსევისაგან დაეცვათ. ამით განისაზღვრებოდა კოლხიდასა და იბერიის ვასსალობური დამოკიდებულება რომის იმპერიაზე. მეფეთა დანიშნვის ან დამტკიცების გარდა, იმპერატორები ამ ქვეყნების შინაურს საქმეებში არ ერეოდნენ. ამგვარმა ურთიერთობამ შემდეგს პერიოდშიაც დიდხანს გასტანა, რაზედაც თავის დროს გვექნება საუბარი.

კითხვები გასამოკრებლად. რამდენ სამეფოდ იყო გაყოფილი ქართველების მიწაწყალი? თვითეული სამეფო რა და რა ნაწილებისაგან შეესდგებოდა? რამდენგვარი იყო „მამასახლისი“? ვინ იყვენ „ერისთავები“? რა უფლება ჰქონდა „მეფეს“?

რამდენნაირი იყო „გვარი“? რა წესით იბერდნენ მეფეები ტახტზე როგორი გამგეობა იყო სვანეთში?—რას წარმოადგენდა სამღვდლო გვარი? რას წარმოადგენდა „მეფის მონათა გვარი“ ანუ „მდაბიო ხალხი“?—ვის ეწოდებოდა „თავისუფალი ერი“? როდის იჩინა ამ უკანასკნელში თავი „ახნაურობამ“? რას ნიშნავს ეს სიტყვა და როგორ წარმოდგა საქართველოში ეს წოდება?

რამდენგვარი იყო სახელმწიფო ხარჯი? როგორის წესით იკრიბებოდა იგი?—ასწორეთ ლაშქრობის წესი ძველ საქართველოში. ჩამოთვალეთ მაშინდელი საჭურველი.

როგორი იყო ზავი და ხელშეკრულება ძველ საქართველოში? რას ეძახოდნენ „სამეგობრო კავშირს“? რას წარმოადგენდა „ვასსალობა“? უჩვენეთ ამათი მაგალითები რომისა და საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან.



V

კულტურული ვითარება.

1. მეურნეობა, დაბები და ციხე-ქალაქები. ქართველების მეურნეობა ამ პერიოდში და დიდხანს მას შემდეგაც უმთავრესათ წოვნით ნატურალური იყო. მეურნეობის უმთავრეს დარგს ალბანიაში მეჯოგობა შეადგენდა, იბერიაში — მიწის მუშაობა, კოლხიდაში — ზოგან მიწის მუშაობა, ზოგანაც ხელის ქსოვა და სამთამადნო წარმოება. ალბანიაში ბუნება მევენახობასაც უწყობდა ხელს (როგორც დღეს კახეთში), მაგრამ იქ ვაზი უფრო ველურათ და მოუვლელათ იზრდებოდა, ვინემ კაცის ხელის მზრუნველობის ქვეშ: ხუთ წელიწადში ერთხელაც არ გაისხვლოდა, თუმცა მოსავალი საუცხოვო იცოდა. ალბანიის ტყეებში გარეული ყურძენიც ბლომათ მოიპოვებოდა. ამას გარდა, თითქმის ყველა ქართველი ტომი ზისდევდა ნადირობა-მეთევზეობას და მცფუტკრეობას.

მთელი იბერია „დაბებითა“ და ციხე-ქალაქებით იყო დაფარული. მაშინდელი „დაბა“ იმასვე ნიშნავდა, რასაც ახლა „სოფელს“ ვეძახით, დასახლებულს და შემუშავებულ ადგილს, წინააღმდეგ დაუსახლებელის და შეუშუშავებელი ადგილისა, რომელსაც ქართულათ „უ-დაბ-ნო“ ეწოდება. დაბები უგალავნო (კედელშემოვლებელი) იყო და უმთავრესათ ვაკე-დაბლობებში და ხეობებში შენდებოდა, ქალაქი კი უსათუოთ ციხე-გალავნიანი იყო და ჩვეულებრივ ისეთს ადგილებში შენდებოდა, რომ ერთის ან ორი მხრით საკმაოთ მალალი ბუნებრივი სიმაგრე (მთა ან კლდე) ჰქონოდა. ამგვარს ადგილებში იყო, მაგალითად, გამაგრებული იბერიის ქალაქები: არმაზი და წიწამური. არმაზ-ქალაქის შუაგული „შიდა-ციხედ“ იწოდებოდა, რადგან საკუთარი კედელი ჰქონდა შემოვლებული, სადაც მეფის სასახლე და უმთავრესი შენობები იმყოფებოდა. საზოგადოთ, იბერიის ქალაქებში შენობებს ქვისას აგებდენ და ზემოდანაც კრამიტით ხურავდენ. ბლომათ მოიპოვებოდა ქალაქებში ღამაზათ მოკირწყლული მოედნები და ბაზრები, სადაც ხალხი იკრიბებოდა ან ალებ-მიცემობა სწარმოებდა.

მნიშვნელოვანი მოვარა 1910 წლისათვის.



სახალხო გაზეთი

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარეობა
წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება
შინაარსით.

უფრო დიდი გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე
ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით -- 5 მან.
10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი უფრო ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვი-
რისა) 7 კაპეიკი

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიადება მხოლოდ ტფილისში:

„სახალხო გაზეთი“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა № 12; წერა-კითხვის სა-
ზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-
აზნ. ქარვასლა; ნაძალადეგში მეზურე მელიტონ დოდოშვილთან—მა-
გისტრალნი ქუჩაზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ
სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მომვართა საშუალებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ
ვინცობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამ-
ტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდენ-
საც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 სა-
თამდე. საღამოთი 5-დან 8 საათმდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“ Семену
Пашалишвили



საქართველო

საქმეწვილო ნახატებანი ჟურნალი.
რუსლ პირველი წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა
პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯალი“
თბილისში ეღირება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5.
ნახევარი წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:
ქუთაისში წიგნის მაღაზიას „იმერეთ“ს და ბათუმში მ.
კალანდაძეს.

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго
журнала „Джеджили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА
на ежедневную общественно-политическую и литературную газету

НОВАЯ РЪЧЬ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА.

Для городскихъ подписчиковъ на годъ 7 р., на 11 мѣс.—6 р.
50 к., на 10 мѣс. 6 р., на 9 мѣс.—5 р. 50 к., на 8 мѣс.—5 р.,
на 7 мѣс.—4—50 к., на 6 мѣс.—4 р., на 5 мѣс.—3 р. 50 к.,
на 4 мѣс.—2 р. 80 к., на 3 мѣс.—2 р., на 2 мѣс.—1 р. 50 к.,
на 1 мѣс. 75 коп.

Для иногородныхъ подписчиковъ на годъ—8., на 11 мѣс.—7 р.
75 к., на 10 мѣс.—7 р. 50 к., на 9 мѣс.—6 р. 75 к., на 8 м.
6 р., на 7 мѣс.—5 р. 25 к., на 6 мѣс.—4 р. 50 к., на 5 мѣс.
3 р. 75 к., на 4 мѣс.—3 р., на 3 мѣс. 2 р., на 2 мѣс.—1 р.
50 к., на 1 мѣс.—75 к.

Подписываться можно на все сроки, но не иначе, какъ
съ 1-го числа каждаго мѣсяца, не меньше, какъ на мѣсяць, и
не далье конца года.

Годовая подписка считается только съ 1-го января

Объявленія для напечатанія въ газетѣ „Новая Рѣчь“ при-
нимаются за плату со строки петита:

Впереди текста 10 коп. Позади текста 5 коп. Посреди текста
50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. Зрѣлища и увеселенія 20 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, Дворянская, д. грузин. дворян. ред. газ.

«НОВАЯ РЪЧЬ»

ТЕЛЕФОНЪ № 20.